კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№17 (1559) 26 მაისი — 1 ივნისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„მერაბი და ზვიადი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ბევრ სამარცხვინო მოვლენას ავიცილებდით!“



ორი მოთხოვნა, რომლითაც ირაკლი წერეთელი პარლამენტს მიმართავს

სამი 26 მაისი – დამოუკიდებლობის 36 500 დღის ქრონიკა

რით ჰგავს და რითი განსხვავდება ერთმანეთისგან 1918, 2011 და 2022 წლების დამოუკიდებლობის დღეები

„რაღაც ახალი იწყება!“

რას შეცვლის „ნამახვანჰესის“ საწინააღმდეგო პროცესი და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ქართულ პოლიტიკაში – ვახტანგ ძაბირაძის პროგნოზები

SOS – ეს კოსმეტიკა კლავს!

რა დაავადებებს იწვევს უხარისხო დეკორატიული კოსმეტიკა და რატომ არ იცავენ საქართველოში მომხმარებელთა უფლებებს

კოჯორში პენსიონერები მასობრივად გაქურდეს

ვინ არის ბანდის ხელმძღვანელი – მოწმეთა სკანდალური ჩვენებები

„ქურდი არა, კოსმონავტი ვარ!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

სამი 26 მაისი – დამოუკიდებლობის 36 500 დღის ქრონიკა

ნინო დოლიძე

დღეს, 26 მაისია ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 100 წლისაა. ამ ას წელში ბევრი რამ მოხდა – კარგიც და ცუდიც. ის დროც იყო, როცა 26 მაისს, როგორც განსაკუთრებულ თარიღს, ყურადღებას არავინ აქცევდა და თითო-ოროლა ადამიანი იატაკქვეშ აღნიშნავდა. 30 წელია, სხვა რეალობაა – დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა „გრეხი“ აღარაა, რაც კარგია, თუმცა თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ქრონიკებს თვალს გადავავლებთ, მივხვდებით, რომ ზემოხსენებულ ას წელიწადში, ყველაზე დასამახსოვრებელი სამი 26 მაისია – წლევანდელი, 2011 წლის და 1918 წლის. რატომაა ახლანდელი 26 მაისი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ანუ რით ჰგავს ერთმანეთს ეს სამი 26 მაისი? – ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებთ, მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ და ჯერ 1918 წლის 26 მაისი გავიხსენოთ.

1918 წელი

საქართეველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უძღოდა, რომელმაც რუსეთის იმპერიაში შემავალ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, პრატქიკულად, იმის საშუალება მისცა, რომ საკუთარი თვითმყოფადობისთვის არათუ ებრძოლა, არამედ, ეს ბრძოლა წარმატებითაც დაეგვირგვინებინა, ესე იგი, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველომ დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა. მანამდე კი, როგორც ქართულ „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ, მოვლენები ასე ვითარდებოდა:

„1918 წლის 24 მაისს, ფრეილინის ქუჩაზე, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. ჟორდანიამ დამსწრეთ, ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ, 23 მაისს გამოგზავნილი წერილის შინაარსი გააცნო, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. 25 მაისს, საღამოს 10 საათზე, უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა. მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით, სხდომა 26 მაისის დღის 12 საათისთვის გადაიდო. ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი ამიერკავკასიის ფედერაციას დაშლილად გამოაცხადებდა. კენჭისყრის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, დაუყოვნებლივ, 25 მაისს ხმა მისცა ექვსმა წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას – ოთხმა წევრმა. 25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევალა. საბოლოოდ აქტი იურისტმა გვაზავამ შეადგინა და წინასწარ გააცნო ჟორდანიას. მასში, გარდა ნაციონალური დებულებებისა, შეტანილი იყო სოციალური საკითხებიც: რვა-საათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. ჟორდანიამ ამოიღო სოციალური დებულებები, როგორც შესაძლო გამთიშველი ელემენტები და დატოვა მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური საკითხები.

1918 წლის 26 მაისს, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

რით ჰგავს და რითი განსხვავდება ერთმანეთისგან 1918, 2011 და 2022 წლების დამოუკიდებლობის დღეები

დამოუკიდებლობის აქტი შემდგომ დაადასტურა და ოფიციალურად გამოსცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

1. ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა – დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

1918-1919 წლებში მთავრობა კოალიციური იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ:

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – **ნოე რამიშვილი**; საგარეო საქმეთა მინისტრი – **აკაკი ჩხენკელი**; სამხედრო მინისტრი – **გრიგოლ გიორგაძე**; ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – **გიორგი ჟურული**; იუსტიციის მინისტრი – **შალვა ალექსი-მესხიშვილი**; სახალხო განათლების მინისტრი – **გიორგი ლასხიშვილი**; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – **ნოე ხომერიკი**; გზათა მინისტრი – **ივანე ლორთქიფანიძე**“.

2011 წელი...

დამოუკიდებლობიდან გავა ზუსტად 93 წელი და... საქართველო სისხლით აღნიშნავს. სხვათა შორის, მე-20 საუკუნის დასაწყისის მსგავსად, 21-ე საუკუნის პირველ დეკადაშიც სისხლიანი დრამის კვალი ჩრდილოეთამდე მივა ანუ ნინო ბურჯანაძე დასავლეთზე გაგიჟებული დღესაა, თორემ რამდენიმე წლის წინ, პირწავარდნილი რუსეთუმე იყო და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოსკოვში, „პაკლონნაია გორაზე“, პუტინსაც კი ხვდებოდა. 2011 წლის 26 მაისის მოვლენებში რუსულ კვალზე ეჭვი იმიტომაც გაჩნდა, რომ ბურჯანაძისა და მისი უფროსი ვაჟის, შესაძლოა, უკანონოდ მოპოვებული საუბრის ჩანაწერი გავრცელდა, სადაც მოსკოვზე მახვილის დასმა აშკარად ისმოდა, თუმცა მოდით, ისევ ქრონოლოგიას გადავხედოთ:

სახალხო კრებამ, რომელიც კარგა ხანი, ტელევიზიის მიმდებარედ იყო განლაგებული, დამოუკიდებლობის დღემდე ცოტა ხნით ადრე, პარლამენტის წინ გადაინაცვლა და განაცხადა, რომ მაშინდელ ხელისუფლებას აღლუმის ჩატარების საშუალებას არ მისცემდა. თავდაპირველად, ეს მიტინგი სანქცირებული იყო, მაგრამ 25 მაისს, ღამის 12 საათზე, ვადა ამოიწურა. ამიტომ, 26 მაისის დადგომისთანავე, რუსთაველის გამზირზე მყოფი აქციის მონაწილეები, სულ რამდენიმე წუთში, წყლის ჭავლით, მხუთავი აირითა და რეზინის ტყვიებით დაშალეს. მალევე, შსს-მ ოფიციალური განცხადება გაავრცელა. შინაგან საქმეთა სამინისტრო პირველ ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს და ამბობს, რომ პოლიციამ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია მომიტინგეებისგან გაათავისუფლა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავა, თუმცა რამდენიმე ხანში, ცნობილი ხდება, რომ აქციის დაშლას მსხვერპლი მოჰყვა. კერძოდ, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შოთა უტიაშვილი მედიას აწვდის ინფორმაციას, რომ სახალხო კრების ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, აქციის დაშლის დროს, თანმხლებ პირებთან ერთად, ავტომობილების საშუალებით, რუსთაველის გამზირი დატოვა. მისი ექსკორტი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი – ერთი პოლიციელი, ერთი კი აქციის მონაწილე – გარდაიცვალა, დაშავდა კიდევ ოთხი პოლიციელი.

მოგვიანებით, ხელისუფლება ლაპარაკს იმაზე იწყებს, რომ აქციის ორგანიზატორები მასობრივ არეულობასა და ძალადობის გზით ხელისუფლების შეცვლას გეგმავდნენ.

წლებია, ნინო ბურჯანაძე ამ ბრალდებას უარყოფს და ვერც ყოფილმა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ სახალხო კრებას რამე ანტიკონსტიტუციური ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ფაქტია: მაშინდელი მოვლენების „ძაღლის თავი“ სხვაგან იყო დამარხული.

სად სხვაგან? – ამ კითხვის სავარაუდო პასუხი ისევ ჩრდილოეთამდე მიდის...

2021 წელი...

დღეს 26 მაისია – საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი. პანდემია რომ არა, წესით, ეს თარიღი პომპეზურად უნდა აღგვენიშნა, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა, თუმცა დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე მაინც აღინიშნება და თავისუფლების მოედანზე აღლუმიც გაიმართება.

გათამაშდება თუ არა 2011 წლის სცენარი? – იკითხავთ, ეს კითხვა რატომ გაჩნდაო. იმიტომ გაჩნდა, რომ თბილისში, ორი დღეა, „ნამახვანჰესის“ მოწინაღმდეგეთა აქციები იმართება. ვარლამ გოლეთიანმა, რომელიც რიონის ხეობის მთავარი მცველია, საზოგადოებას უკვე მოუწოდა, აღლუმზე კი არა, საპროტესტო აქციაზე მივიდეს, რადგან 26 მაისი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი, ანუ ხალხისაა.

გიგანტური და, საერთოდ, ჰესების მშენებლობა ძალიან სენსიტიური საკითხია და ამ თემას ახლა არ განვავრცობთ, მაგრამ კითხვა კი ჩნდება: სპონტანურობით აიხსნება, თუ მიზანმიმართული დამთხვევაა, რომ რიონის ხეობის მცველებმა თბილისში აქციები, მაინცდამაინც, 23 მაისს ანუ დამოუკიდებლობის დღემდე ცოტა ხნით ადრე დაიწყეს? ასევე, საინტერესოა, აღლუმზე არმისვლის მოწოდება წინასწარ იყო ჩაფიქრებული, თუ აქაც სპონტანურობასთან გვაქვს საქმე?

ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია, რომელსაც პასუხი, ჯერჯერობით, არ გასცემია.

ამასობაში კი, საქართველოს დამოუკიდებლობა 100 წლის გახდა! ავად თუ კარგად, ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია!

ჰოდა, გილოცავთ!

„მერაბი და ზვიადი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ბევრ სამარცხვინო მოვლენას ავიცილებდით!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„1918 წლის 26 მაისს, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3.00 საათზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ, წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი». ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი“, – ნათქვამია საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკებში.

26 მაისს, საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. სასიხარულოა, რომ წლების შემდეგ, საქართველოში, გენერალ კვინიტაძის ნეშტი ჩამოასვენეს და კიდევ ერთი ღირსეული ქართველი ქართულ მიწას სწორედ 26 მაისს მიებარება... ვფიქრობ, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას არც თარიღი აქვს და არც – დრო, ამიტომ გადაწყვიტე, ინტერვიუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, ირაკლი წერეთელთან ჩამეწერა, რომელიც 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის თანამონაწილეა:

ორი მოთხოვნა, რომლითაც ირაკლი წერეთელი პარლამენტს მიმართავს

– ბატონო ირაკლი, დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს უნდა აღვნიშნავდეთ, თუ 9 აპრილს?

– საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ლეგიტიმურმა ეროვნულმა ხელისუფლებამ, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, საქართველოს დამოუკიდებლობის ათვლის წერტილი 1918 წლის 26 მაისიდან დაიწყო და ყველას მიერ გაზიარებული იყო ასეთი თეორია – ვინაიდან, დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიზიკურად დავკარგეთ ძალადობის, შეიარაღებული აგრესიისა და ოკუპაციის შედეგად და ქართველ ერს არც რეფერენდუმით და დემოკრატიული არჩევნებით კომუნისტური საბჭოთა სახელმწიფოსთვის არასდროს მიუცია დადასტურება, ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა მოითხოვა სწორედ 26 მაისის აქტის საფუძველზე. 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ მიიღო არა დამოუკიდებლობის, არამედ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლკობის აღდგენის აქტი. დამოუკიდებლობის დღე 26 მაისია, 9 აპრილი კი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, საქართველო იყო რეალურად თავისუფალი ქვეყანა, რუსის ერთი ჯარისკაცი არ იდგა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოში უკვე მოქმედებდა ეროვნული ხელისუფლება და როცა 70 წლის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ფაქტობრივად, საქართველო არ იყო თავისუფალი ქვეყანა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია მოქმედებდა, საზღვრებში ვიყავით ჩაკეტილი. ასე რომ, დამოუკიდებლობის დღე უნდა იყოს 26 მაისი, ესაა ეროვნული მოძრაობის პოზიცია.

– ამდენი წლის შემდეგ, როგორ იხსენებთ იმ პერიოდს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდით? როგორი იყო მერაბსა და ზვიადთან ურთიერთობა?

– ამის გახსენებაზე მხოლოდ დადებითი ემოცია მაქვს, რადგან ქართველი ერის მატიანეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით აღიბეჭდა, ეს ჩემთვის სასიხარულოდ და სასიქადულოდ ამაღელვებელი იმიტომაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეუბნება ყველას – ეს არის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის! როცა ეს ბრძოლა დამთავრდა ისტორიული გამარჯვებით და საქართველოს დამოუკიდებლობა დღეს მთელი მსოფლიოს მიერ უნივერსალურ დონეზეა აღიარებული, ეროვნული მოძრაობა რომ ადამიანს არ გაახსენდეს სასიხარულოდ, გამოდის, არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი და თავისუფლების მოღალატეა. უბრალოდ, გული მტკივა, რომ აღარც მერაბია ცოცხალი, აღარც – ზვიადი და მათთან ერთად, ძალიან ბევრი ღირსეული ერისკაცი და მამულიშვილი გარდაიცვალა. ზოგი მოკლეს, ზოგი ავადმყოფობით გარდაიცვალა. ძალიან კარგი იქნებოდა, მერაბი და ზვიადი ცოცალები ყოფილიყვნენ, ამით ბევრ სამარცხვინო მოვლენას ავიცილებდით!

– მათ რომ ეცოცხლათ, მაინც, რა შეიცვლებოდა?

– მე, მერაბი, ზვიადი... ყველა ერთად რომ ვყოფილიყავით, საქართველო ვერ და არ დაუშვებდა შევარდნაძის მმართველობას – ეს გამორიცხულია. კიტოვანი მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ვერ გაუბედავდა სამხედრო გადატრიალებას. შევარდნაძის მმართველობა რომ არ იქნებოდა, აქედან გამომდინარე, აღარც სააკაშვილის მმართველობა იქნებოდა და აღარც – ივანიშვილის. ხელისუფლებაში იქნებოდნენ ეროვნული ძალები, გავზრდიდით თაობას ამაღლებული ეროვნული იდეალებით და საქართველოს ხელისუფლებაში არ მოხვდებოდნენ ისეთი პერსონები, რომელთა ცხოვრების ძირითადი აზრი, რაც შეიძლება, დიდი ფულის შოვნაა, ყველაფრის ფასად.

– ისე, როცა ეროვნულ მოძრაობას ეყრებოდა საფუძველი და ყველა ერთად იდექით, დღევანდელი საქართველო როგორ წარმოგედგინათ?

– ვერ ვიტყვი, წარმომედგინა, რომ საქართველო თამარისა და დავითისჟამინდელი ძლიერებით გაბრწყინებული იქნებოდა – ამას ცოტა სხვა მასშტაბები სჭირდება, მაგრამ ვფიქრობდი, რომ საქართველო იქნებოდა ბევრად უფრო ძლიერი, დემოკრატიული, ღირსეული სახელმწიფო და ქართული დემოკრატია შარლ მიშელის ჭკუის სასწავლებელი არ გახდებოდა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს მაგალითი 1918-21 წლების, როცა მსოფლიოს არც ერთი იმჟამინდელი განვითარებული ქვეყნიდან შენიშვნა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში არ მიგვიღია. თუ შეძლო ქართველმა ერმა 100 წლის წინ, შეექმნა თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რატომ ვერ შექმნიდა განმეორებით, როცა მე-20 საუკუნეში, გაცილებით დიდი გამოცდილება და ცოდნა დაგროვდა თავისუფლებისა და დემოკრატიის სასარგებლოდ, ვიდრე ეს მე-19 საუკუნეში იყო. მსოფლიოში ისეთი პროცესები მოხდა, რომ წესით, საქართველოში აღარ უნდა ყოფილიყო ეს ანტიდემოკრატიული გამოხტომები...

– კი, მაგრამ დასავლეთი ხომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზაა?

– რა თქმა უნდა, ეს იდეა დაიბადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში. ამ იდეის ავტორი არც ედუარდ შევარდნაძეა, არც – მიხეილ სააკაშვილი და არც – დღევანდელი ხელისუფლება. თუ მაინცდამაინც პერსონამდე დაკონკრეტდება, ყველამ იცის, ვინ არის ამ ინიციატივისა და იდეის ავტორი. არსებობს უზარმაზარი ლიტერატურა, თუნდაც ჩემი წიგნები, სადაც პირდაპირ წერია, პირველმა ვინ გააჟღერა აშშ-ს ბაზების საქართველოში განთავისების იდეა.

დასასრული მე-4 გვერდზე

„მერაბი და ზვიადი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ბევრ სამარცხვინო მოვლენას ავიცილებდით!“

მე-3 გვერდიდან



ეს ეროვნული მოძრაობის იდეაა და იმდენად ძლიერი, სწორუპოვარი აღმოჩნდა, რომ ყოფილი კომკავშირლები, კომუნისტები და ადამიანები, რომელთაც არასდროს აწუხებდათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იძულებულნი გახდნენ, ეს იდეა ხმამაღლა გააჟღერონ და წაიყვანონ საქართველო ევრო-ატლანტიკური მიმართულებით. ჩვენ, ეროვნული ძალები რომ ვყოფილიყავით, საქართველო უკვე ნატო-ს წევრი იქნებოდა და ის სისაძაგლეები, რაც მოხდა, არ მოხდებოდა. ამის გამო კი მწყდება გული, მაგრამ ძალიან დიდი ძალა ჩაება და, როგორც ჩანს, სადღაც ეროვნულმა მოძრაობამ, ალბათ, სიფხიზლე მოადუნა...

– თქვენი აზრით, ეროვნული მოძრაობის ყველაზე დიდი შეცდომა და წარმატება რა იყო?

– ყველაზე დიდი წარმატება, 9 აპრილის სისხლიანი დარბევის შემდეგ, საყოველთაო აღიარება იყო. ეს ჰეროიკული ეპოპეაა ქართველი ერის თავისუფლებისთვის ბრძოლის მატიანეში. კომუნისტური ხელისუფლება იქცა ფიქციად და იმდენად გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა, რომ ჯერ კიდევ ზვიადის ხელისუფლებაში მოსვლამდე, გუმბარიძის კომუნისტურმა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, სადაც აღიარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმება. ამის დამაგვირგვინებელი გამარჯვება კი რეფერენდუმის ჩატარება და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გახლდათ.

შეცდომას კი თავიდანვე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც მერაბ კოსტავა გარდაიცვალა, ეროვნულმა მოძრაობამ, სამწუხაროდ, ვეღარ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება. ეროვნული მოძრაობის ერთიანობის შემთხვევაში, ვერც ერთი ძალა ვერ გაბედავდა, ვერც კი გაიფიქრებდა შეიარაღებულ გადატრიალებაზე ფიქრს. რა თქმა უნდა, ეს გადატრიალება რუსეთმა მოაწყო, ის იყო ინსპირატორი, მაგრამ ეს განახორციელა ქართველების ხელით და არ მოუნდებოდა არც ერთ ქართველს, ეროვნული ერთიანობის შემთხვევაში, ანტიქართული გადატრიალების მომზადება.

– რუსეთისგან საქართველოს მიმართ საფრთხე ახლაც არ განელებულა?

– რუსეთი ყოველთვის ეცდება, რაღაც მოიმოქმედოს, მაგრამ გადატრიალების საფრთხე არ მგონია, რადგან საქართველოს, იმ დროსთან შედარებით, ძლიერი სტრუქტურები ჰყავს პოლიციის, არმიის სახით, მით უმეტეს, არც ერთი პოლიტიკური ძალა გადატრიალებასა და შეიარაღებულ დაპირისპირებაზე არ ფიქრობს.

– „საფრთხეში“ ქართულ პოლიტიკაში რუსეთის ჩარევა ვიგულისხმე, ბატონო ირაკლი...

– ქართულ პოლიტიკაში დიდი ხანია, ჩარეულია რუსეთი, როცა ხელისუფლება მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებსა და პირობებს, რასაც ჰქვია ეროვნული, სუვერენული ხელისუფლება, მაგრამ იმდენად ძლიერია დამოუკიდებლობის იდეა და დასავლეთის, აშშ-ისა და ნატო-ს აქტიური მონაწილეობა საქართველოში, რომ არ დაუშვებს ამას. მადლობა ღმერთს, საქართველომ შეიძინა ისეთი ძლიერი არაერთი პარტნიორი, რომელსაც რუსეთი ვეღარ გაუბედავს საქართველოს სრულმასშტაბიან ოკუპაციასა და ანექსიას, ეს გამორიცხულია! თუ მომავალ არჩევნებში, მაინცდამაინც, რუსული ძალები გაიმარჯვებენ, მერე არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ ასე არ მგონია.

– ბატონო ირაკლი, ბოლო დროს, პოლიტიკაში ე.წ. კონსერვატიული ძალები გააქტიურდნენ. ლევან ვასაძემ გადაწყვიტა პარტიის შექმნა, გია გაჩეჩილაძე (უცნობმა) ეროვნულ მოტივებზე აქცია გამართა... ყველაფერ ამას როგორ აფასებთ?

– ვასაძე რა კონსერვატორული ძალაა?! ეს არის რუსეთუმე ძალა! დღეს, საქართველოში ე.წ. კონსერვატორული იდეები არის ნიღაბი, რომ დაიმალოს ანტიქართული სახე. ქართველობა და ანტიქართველობა უნდა განვასხვავოთ ძალიან მარტივად. ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, დღეს, საქართველოში არის ორი იდეოლოგია – ერთ მხარესაა აშშ და ნატო, მეორე მხარეს კი – რუსეთი. სხვა ძლიერი სტრატეგიული იდეოლოგია არ არსებობს და ვინც არ არის ამ არჩევანში აშშ-ისა და ნატო-ს მომხრე, ყველა არის რუსული ანუ ანტიქართული ძალა. შეუძლებელია, რუსული ძალა იყოს ეროვნული იმიტომ, რომ რუსეთი მუდამ ებრძვის, ხშირად ამარცხებს და ამხობს საქართველოს ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მოვუწოდებდი ყველა ქართველს, რომ კონსერვატორობით და ტრადიციონალობით კი არ განსაზღვრონ ეროვნულობა, არამედ, ეროვნულობის, ქართველობის განმსაზღვრელი სწორუპოვარი საშუალება არის დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეა. მირჩევნია, საქართველო იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი და ნაკლებად ტრადიციული, ვიდრე იყოს ტრადიციული და რუსეთის მიერ დაპყრობილი მონა, თუმცა ჩვენს ტრადიციებს ვერავინ მოერევა და სისულელეა, რომ დასავლეთი ებრძვის ჩვენს ტრადიციებს. დასავლეთში არიან ე.წ. გალიბერასტებული და უზნეო ძალები, რომლებიც ამ იდეალებს საკუთარ ქვეყნებშიც ებრძვიან, მაგრამ ასე არ ხდება, რომ ამან რაიმე საფრთხე შეუქმნას საქართველოს.

– ბატონო ირაკლი, რატომ არ ხართ აქტიურ პოლიტიკაში?

– ვერ ვარ, რადგან აქტიურ პოლიტიკაში თავმოყვარე კაცი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას, როგორც ლიდერს, ჰყავს ძალიან დიდი რაოდენობის აქტიური მხარდამჭერი. თითზე ჩამოსათვლელი ჩემი მეგობრებით, ძლიერ პოლიტიკურ პარტიას ვერ შევქმნი და როცა ადამიანის უკან არ დგას მრავალრიცხოვანი, ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება და ის ცდილობს აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობას, ეს ნიშნავს, რომ მას ღირსება და თავმოყვარეობა არ გააჩნია. ვერ დავუშვებ, რომ არჩევნებში მივიღო მონაწილეობა და დამიდასტურდეს 1%. თუ გადავწყვიტე და შევუერთდი ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში, ჯერჯერობით „ქართული ოცნების“ გარდა, არ არსებობს, მაშინ საარჩევნო პოლიტიკაში მივიღებ მონაწილეობას. იდეოლოგიურ-მსოფლმხედველურ, პროპაგანდისტულ პოლიტიკაში ვაქტიურობ, ბევრი წიგნის ავტორი ვარ, ხშირად ვატარებ მცირერიცხოვან აქციებს.

საუბრის ბოლოს მინდა, დიდი სიხარული გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ჩამოასვენეს 51 წლის წინ, საფრანგეთში გადახვეწილი, ღირსეული გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და გიორგი მაზნიაშვილთან ერთად, არის სიმბოლო იარაღით ხელში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა. თქვენი გაზეთის მეშვეობით, მოვუწოდებ ქართველებს, რომ პატივი მიაგონ. კარგი იქნებოდა, 26 მაისს არ დაეკრძალათ, სჯობდა, ჩატარებულიყო მრავალრიცხოვანი პოლიტიკური დემონსტრაცია, იქ მოესვენებინათ ამ კაცის ნეშტი და 27-ში, ხუთშაბათს, ქრისტიანულად დაეკრძალათ. ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი არ არის დაკრძალვის დღეები. გენერალი კვინიტაძე კოვიდით არ გარდაცვლილა და რა ეჩქარებოდათ ოთხშაბათს დაკრძალვა, ცოტა გაუგებარია.

ორი დღის წინ, ოფიციალურად მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს, ყველა კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეს. ჩავაბარე საგანგებო მიმართვა, სადაც მაქვს ორი წინადადება – საქართველოს პარლამენტმა დაადასტუროს წერილობითი დოკუმენტის სახით მხარდაჭერა დამოუკიდებლობისადმი და რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად. მეორე მოთხოვნაა, რომ დაიწყოს სპეციალური ინტერპარტიული და ინტერპოლიტიკური საპარლამენტო საკომიტეტო მოსმენები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე და შეიქმნას შემაჯამებელი დოკუმენტები.

„რაღაც ახალი იწყება!“

რას შეცვლის „ნამახვანჰესის“ საწინააღმდეგო პროცესი და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ქართულ პოლიტიკაში – ვახტანგ ძაბირაძის პროგნოზები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„რესპუბლიკის მოედანზე“, „რიონის ხეობის მცველებმა“, პროტესტის ნიშნად, კარვები გაშალეს და თუ ხელისუფლება „ნამახვანჰესზე“ უარს არ იტყვის, რიონის მთავარი მცველი, ვარლამ გოლეთიანი აცხადებს, რომ მასობრივი პროტესტი და სამთავრობო უწყებების პიკეტირება დაიწყება, რასაც მთელი ქვეყნის პარალიზება მოჰყვება. ყველაფერი ეს, 26 მაისის ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის წინ ხდება და იმ ფონზე, როცა ხელისუფლება 26 მაისს, რუსთაველზე აღლუმის ჩატარებას გეგმავს, ჩნდება კითხვები – პიკეტირებასა და პარალიზებაზე საუბარი ხომ არ არის პროვოკაციის მცდელობა, რომლის უკანაც ნებისმიერი უცხო ქვეყნის, თუნდაც რუსეთის ძალა შეიძლება იდგეს? ამასთან, რა პარალელის გავლება შეგვიძლია 2011 წლის 26 მაისის მოვლენებსა და დღევანდელ პროცესებს შორის? 2011 წლის 26 მაისი, რომლის დროსაც საპროტესტო აქციების ინიციატორი დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, ნინო ბურჯანაძე გახლდათ და აქციების უმოწყალო დარბევას მსხვერპლი მოჰყვა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის „შავ ლაქად“ დღემდე ითვლება და საინტერესოა, დღესაც ხომ არავინ ცდილობს იგივე სცენარის განმეორებას? ასევე, საინტერესოა, შესაძლოა თუ არა, რომ ვინმემ გულწრფელი პროტესტი სათავისოდ, არასწორი მიმართულებით წარმართოს და გამოყენოს? – „ვერსია“ პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, რა პარალელს გაავლებთ 2011 წლის 26 მაისისა და დღევანდელ პროცესებს შორის?

– აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური და ეონომიკური ვითარებაა. ამასთან, პროტესტის თემაც აბსოლუტურად განსხვავებულია. გულწრფელად გითხრათ, არასდროს მივესალმები, მით უმეტეს, მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან, აქციის მონაწილეთა კატასტროფულ დარბევას. მაშინაც ვმონაწილეობდი და გამოვხატავდი პროტესტს, მაგრამ დღევანდელი ვითარება აბსოლუტურად სხვა კონტექსტია... რადიკალიზმის, ქუჩების გადაკეტვისა და პარალიზების მომხრე არც მაშინ ვიყავი და არც ახლა ვარ. დარწმუნებული ვარ, ეს შედეგს არ მოიტანს.

ეს არ არის პოლიტიკური მოძრაობა და მიმაჩნია, რომ რაღაც ახალი გაჩნდა ქართულ სინამდვილეში, როდესაც პოლიტიკურ მოძრაობებსა და პროტესტს ანაცვლებს სოციალურ-საზოგადოებრივი პროტესტი. მგონია, რომ ეს, სწორედ ამ ტიპის მოძრაობაა. ვერც იმის ადამიანურ რესურსს ვხედავ, რომ დიდხანს გაგრძელდეს ეს პროტესტი. რაც შეეხება იმას, ხომ არ იმართება ეს პროტესტი რუსეთიდან, რა, 26-ში რომ არ იყოს და 30-ში დაიწყონ პარალიზება, მაშინ არ იქნება რუსული, თუ ეს რუსეთს აწყობს? ჩვენთან ხომ ყველაფერი ასეა, სამწუხაროდ, თუ ერთ მხარეს რამე არ მოსწონს, არის რუსული და მეორე მხარეც აბრალებს რუსეთს, სულ „რუსული“ ვართ – პოზიციაც, ოპოზიციაც... რუსული გავლენა საქართველოში არსებობდა, არსებობს და იარსებებს, მაგრამ რუსული ფენომენის წინააღმდეგ, ყველაზე ქმედითი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნაა, რაც საქართველოს არც ერთ ხელისუფალს არ უნდა.

– ბატონო ვახტანგ, მნიშვნელოვანია, რომ 26 მაისს, დაგეგმილია აღლუმი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ასეთ დროს პიკეტირება და პარალიზების მცდელობა ერთგვარ პროვოკაციად არ ჩაითვლება?

– ზოგადად, ეს არც 26-ში მომწონს და არც – 25-ში, რადგან ეს ქმედება შედეგს არ მოიტანს. თუ რიონის დამცველები, ან სხვები სერიოზული რაოდენობის საზოგადოების მობილიზებას შეძლებენ, ეს სხვა თემაა. თუ პიკეტირებას აპირებენ, არ მგონია, 26-ში აღლუმს შეუშალონ ხელი. ეს იქნება საოცრად არასწორი გადაწყვეტილება და დიახ, გეთანხმებით, ასეთ შემთხვევაში, ეს იქნება პროვოკაციული გადაწყვეტილება იმიტომ, რომ 26 მაისი არის დამოუკიდებლობის დღე, ვინმეს მოგვწონს თუ არა! ამასთან, აუცილებლობა არ არსებობს, მაინცდამაინც, 26 მაისს გადაკეტონ რუსთაველი, ამიტომ ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია 26 მაისს, რამე ანტისახელისუფლებო გამოსვლა. შეუძლიათ, ცალკე ჩაატარონ მიტინგი, მაგრამ ეს დამოუკიდებლობის დღეა და უნდა გავაცნობიეროთ ყველამ. არც მაშინ, 2011 წელს იყო სწორი გადაწყვეტილება 26 მაისის აღლუმის ჩაშლა და პიკეტირების მცდელობა – ეს პოლიტიკურად არასწორი გადაწყვეტილება გახლდათ, ამიტომ ახლაც საშინლად არასწორი იქნება. ვინც ამისკენ უბიძგებს აქციის ორგანიზატორებს, მაინცდამაინც, 26 მაისს მოხდეს ეს პიკეტირება, უნდა მიხვდნენ, რომ ეს ხალხი, მინიმუმ, არაკეთილგონიერია.

– არაერთ ადამიანს უჩნდება კითხვა – ვინ აფინანსებს ამ პროტესტს, მით უმეტეს, როცა საქმე ორგანიზებულ საპროტესტო აქციასთან გვაქვს. ამასთან, მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ახლადშემოსული ლევან ვასაძის აქტიურობაც, რომელიც, ასევე, აპროტესტებს ჰესის მშენებლობას...

– ჩემი აზრით, ყველაფრის საკმაოდ გაბუქება ხდება. რა თანხებზეა ლაპარაკი, რამდენადაც ვუსმინე, მათ მხარს უჭერენ ემიგრანტები და მათგან იღებენ თანხას, რაც უნდა იყოს გამჭვირვალე. არ ვიცი, ვინ და როგორ აფინანსებს... ლევან ვასაძე თუ იქ მიდის და საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ვასაძე ხელისუფლების თამაშს თამაშობს, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლებას უნდა, ლევან ვასაძე მიაწებოს ამ საპროტესტო აქციას.

საერთოდ, რა განსხვავებაა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროტესტს შორის? – პოლიტიკურ პროტესტში უნდა იყოს იდეოლოგიური ან პარტიული თვალსაზრისით თანხვედრა. საზოგადოებრივ პროტესტში კი რა მნიშვნელობა აქვს, იქ იქნება მემარჯვენე, მემარცხენე, რუსეთუმე, თუ პროდასავლელი? ეს ხომ ჩვენი საზოგადოებაა და არ შეიძლება, რომ ამ ჭრელ საზოგადოებას, ამ თემაზე ერთნაირი შეხედულება ჰქონდეს? რასაც ვხედავ, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო არხებიც ცდილობენ, ამ მოძრაობას დაუპირისპირდნენ. ყველას აქვს საკუთარი ინტერესი, ამიტომ მათ უნდა მოახდინონ ფინანსების დემონსტრირება, რა ხარჯები აქვთ, ხოლო თემა, რომ მათ ვიღაც აფინანსებს და რუსული ფული მოდის, ჩემი აზრით, შავი პიარია... არა მარტო ამ შემთხვევაში, როცა ვინმეს ვინმე არ მოსწონს, ყველა რუსული გავლენის ქვეშაა და ბოლო-ბოლო, ამ ქვეყანაში არ არის რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი, ხელისუფლების გარდა, რომელსაც რუსეთი მაინცდამაინც არ ეხატებოდეს გულზე? ჩვენ ხომ ხელისუფლება ყოველთვის ანტირუსული გვყავს?!

მგონია, რომ რაღაც ახალი იწყება პარტიული პოლიტიკის მიღმა – „საზოგადოებრივი მოძრაობა“ და მხოლოდ რიონჰესს კი არა, ვგულისხმობ ბორჯომის, ნაბეღლავის, ჭიათურის პროტესტს. სოციალური თემები შემოდის, რაც სულ იყო ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ ყველაფერ ამას, ყოველთვის ნიღბავდნენ და ფუთავდნენ პოლიტიკური თემებით. ახლა პოლიტიკური საბურველი შორდება და წინ მოდის სოციალური თემები.

– და ეს რისი მანიშნებელია, ბატონო ვახტანგ?

– ჩემი სოლიდარობა ამ აქციის მიმართ, ძირითადად, მაინც იმითაა განპირობებული, რომ რეალური საზოგადოება გაჩნდეს. არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს არასამთავრობოებთან, მაგრამ ისინი არიან მედიისა და დასავლეთისთვის. რეალურ გავლენას არასამთავრობოები ჩვენს საზოგადოებაზე ვერ ახდენენ. ეს აქცია რომ ხელისუფლების შეცვლას ითხოვდეს, იქნებოდა პოლიტიკური, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, ის პრობლემა გადაჭრას, რომელიც საზოგადოებას აქვს და ამასთან, სოლიდარობაც უნდა ვისწავლოთ.

ძალიან მაინტერესებს, ამ აქციაზე არიან ის ადამიანები, რომლებიც „ხუდონჰესის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ ამ რამდენიმე წლის წინ? უცხადებენ ისინი სოლიდარობას? იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება ნელ-ნელა გამოვა პოლიტიკური ეიფორიიდან და სამოქალაქო საზოგადოება გახდება, რომელიც იქნება მომთხოვნი ხელისუფლების მიმართ. მაშინ შევძლებთ, დემოკრატიისკენ ნაბიჯი მართლა გადავდგათ.

SOS – ეს კოსმეტიკა კლავს!

რა დაავადებებს იწვევს უხარისხო დეკორატიული კოსმეტიკა და რატომ არ იცავენ საქართველოში მომხმარებელთა უფლებებს

ია გრიგალაშვილი

21-ე საუკუნეში დეკორატიული კოსმეტიკა ერთობ მოთხოვნადი და პოპულარულია. ტუჩსაცხი, „ტუში“, „კორექტორი“, „ტონალური“ და სხვა საშუალებები ქალბატონების ყოველდღიური რუტინაა, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ეს კოსმეტიკა, შესაძლოა, მავნე ნივთიერებებს შეიცავდეს და ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ, საფრთხე ჯანმრთელობას შეუქმნას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს კოსმეტიკური პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო.

ქაოსი კოსმეტიკის ბაზარზე

სხვადასხვა მაღაზიათა ქსელსა და დახლებზე უამრავი ბრენდის კოსმეტიკას ვხვდებით, რომლებიც ერთმანეთისგან ფასით, ხარისხით, შემადგენლობითა და დანიშნულებით განსხვავდებიან. დეკორატიული კოსმეტიკის თითქმის 80% საზღვარგარეთიდან შემოდის და უმეტესობა რუსეთსა და უკრაინაშია წარმოებული, ზოგიერთი – ევროპის ქვეყნებში. საბაჟო პუნქტებზე კოსმეტიკას არავინ ამოწმებს, ამიტომაც ცნობილი ბრენდების მწარმოებლებს, საქართველოში, შედარებით დაბალხარისხიანი პროდუქტი შემოაქვთ. მაგალითად, თუ ევროპის რომელიმე ქვეყანაში, ამა თუ იმ ბრენდის ე.წ. ტონალურ საცხს შეიძენთ და იგივე ბრენდის იგივე პროდუქტს საქართველოშიც იყიდით, აღმოაჩენთ, რომ ისინი შემადგენლობითა და ხარისხით განსხვავდებიან.

საქართველოს კანონში მომხმარებელთა უფლებების შესახებ წერია, რომ პროდუქტი არ უნდა იყოს მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო, თუმცა ეს კანონი ზედაპირულია და კონკრეტული პუნქტები გაწერილი არაა. როგორც აღვნიშნეთ, ბაზარზე არსებული კოსმეტიკის მაკონტროლებელი ორგანო არ არსებობს. ასევე, არ გვაქვს ლიცენზირებული ლაბორატორია, რომელიც შემოტანილი კოსმეტიკის ხარისხს შეამოწმებს. ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით კი, აუცილებლია, რომ საქართველოში მსგავსი ორგანო არსებობდეს.

კანონში ისიც წერია, რომ პროდუქტზე, სკრუპულოზური სიზუსტით უნდა იყოს დატანილი მისი შემადგენლობა, დამზადების თარიღი, შენახვის ვადა და პირობები. დეკორატიული კოსმეტიკის უმეტესობა, განსაკუთრებით, ტუჩსაცხები და ტუჩის კონტურები (ფანქრები), ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე იყიდება. იმ კოსმეტიკის შემადგენლობაში, რომელსაც ეტიკეტი ან საინფორმაციო შეფუთვა მოჰყვება, ჩამოთვლილია ქიმიური ნივთიერებები, მაგრამ თუ ქიმიაში კარგად ვერ ერკვევით, ვერ მიხვდებით, რა მავნე ნივთიერებას შეიცავს კონკრეტული პროდუქტი, ამიტომ მომხმარებელთა უმეტესობა ამ ანოტაციას არ კითხულობს და მხოლოდ ვადის შემოწმებით კმაყოფილდება. ისე, ზოგ შემთხვევაში, ვადის დადგენაც შეუძლებელია.

ევროკავშირის ქვეყნებში, პარფიუმერულ-დეკორატიული კოსმეტიკის ნაწარმს სახელმწიფოს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოები უწევენ ზედამხედველობას. ზოგიერთ ქვეყანაში, პარაბენისა და ალუმინის შემცველი კოსმეტიკის გამოყენება აკრძალულია, ზოგან კი დაშვებულია მცირე დოზით და ისიც მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტში. უწყება, რომელიც საქართველოში, პაფიუმერულ-კოსმეტიკურ საშუალებებს აკონტროლებდა, 2000-იან წლებში გაუქმდა.

მავნე ქიმიური ნივთიერებები კოსმეტიკაში

დეკორატიული კოსმეტიკის მწარმოებლები, თავიანთი პროდუქტის ეფექტიანობის გასამძაფრებლად, შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად და თანხის დაზოგვის მიზნით, მასში მავნე ქიმიურ ნივთიერებებს – პარაბენებს ამატებენ. ასე, მაგალითად:

მეთილპარაბენი (Methylparaben);
პროპილპარაბენი (Propylparaben);
ეთილპარაბენი (Ethylparaben);
ბუტილპარაბენი (Butylparaben).

თუ დეკორატიული კოსმეტიკის ყიდვას გადაწყვეტთ, აუცილებლად გაეცანით შემადგენლობას და შეამოწმეთ, რომ ზემოთაღნიშნულ ნივთიერებებს არ შეიცავდეს! ეს იმიტომ, რომ პარაბენის შემცველი კოსმეტიკის ხანგრძლივმა გამოყენებამ, შესაძლოა, სარძევე ჯირკვლების სიმსივნე, კანის პრობლემები, ჰორმონალური დარღვევები, ორსულობის დროს კი, ნაყოფის რეპროდუქტიული სისტემის მოშლა გამოიწვიოს.

გარდა ამისა, კონკრეტული კოსმეტიკური ნაწარმი, შესაძლოა, სხვა მავნე ქიმიურ ნივთიერებებსაც შეიცავდეს, მათ შორის, ნიკელს, ალუმინს, ტყვიას, ბერილიუმს, დარიშხანს... შესაბამისად, აუცილებელია, მომხმარებელს სრული ინფორმაცია ჰქონდეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“, სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებით, წელს, პარლამენტში პეტიცია შეიტანა. ორგანიზაციის მათხოვნაა, რაც შეიძლება, სწრაფად დაწესდეს უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლი ყველა სახის სამომხმარებლო პროდუქციაზე. განხილვის მიმდინარე ეტაპზე, პარლამენტმა პეტიცია გადაუგზავნა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს. ნათია თურნავას უწყებიდან არასამთავრობო ორგანიზაციას უპასუხეს, რომ პროდუქციის უსაფრთხოების მიმართულებით, სამინისტრო დამატებითი ვალდებულების აღებას არ აპირებს!

ამის შემდეგ, „ვერსია“ დაინტერესდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა არასთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან. სწორედ ამ მიზნით, დავუკავშირდით საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტსა და სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. მართალია, კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ, მაგრამ „ვერსიის“ ზარის შემდეგ, ეკატერინე ტიკარაძის უწყებამ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“ ასე უპასუხა:

„ადამიანის ჯანმრთელობაზე სამომხმარებლო პროდუქციის მავნე ზემოქმედების რისკების გამოვლენისა და შემცირების მიმართულებით, აქტივობების დაწყებას მივესალმებით და გამოვთქვამთ მზაობას თანამშრომლობისთვის“.

ჯერჯერობით, დაუზუსტებელია, რა ნაბიჯებს გადადგამს პარლამენტი თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე, უცნობია, როდის ამუშავდება სამომხმარებლო პროდუქტებზე მაკონტროლებელი ორგანო, ან ყველაზე მთავარი – გამკაცრდება თუ არა კანონი.

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

ლარის გამყარების ოთხი მიზეზი

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება, შემსუბუქებული კოვიდ-რეგულაციები, ვაქცინაცია და გაზრდილი ფულადი გზავნილები – ეკონომისტების არგუმენტები

ბოლო ათი დღეა, საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი, დოლართან მიმართებაში გამყარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის 25 მაისის მონაცემებით, 1 აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, ლართან მიმართებაში, 3.31 ლარია. „ვერსია“ დაინტერესდა, რამ განაპირობა ეროვნული ვალუტის თითქმის 12-პუნქტიანი გამყარება აშშ დოლართან მიმართებაში და ეკონომისტებს დაუკავშირდა, თუმცა ვიდრე სპეციალისტების არგუმენტირებულ მოსაზრებებს გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები პოზიტიურად აფასებენ, როგორც საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ასევე, ეკონომიკის ზრდის პერსპექტივებს და ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებსაც. ამის დასტურია მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად, საქართველო 85 მილიონ ევროს მიიღებს. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის – სსფ გადაწყვეტილებაც – ეს უკანასკნელი საქართველოს 67 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს.

„ვერსიასთან“ საუბრისას ეკონომისტი ანდრია გვიდიანი აცხადებს, რომ ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის გამყარება მხოლოდ ერთ, კონკრეტულ ფაქტორს არ უკავშირდება. რა თქმა უნდა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი და პოზიტიური სიგნალია, მაგრამ არასწორია, ლარის კურსის სიმყარე მხოლოდ ამ ერთ, კონკრეტულ ფაქტს დავუკავშიროთ. ანდრია გვიდიანმა „ვერსიას“ აუხსნა, რომ ვალუტის კურსის პოზიტიური ცვლილება ეკონომიკის გამოცოცხლებას და იმ დადებით ტენდენციებს უკავშირდება, რაც ბოლო დროს გამოიკვეთა.

„ეროვნული ვალუტა რამდენიმე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ფაქტორით გამყარდა. 2021 წლის იანვარ-აპრილში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი გამოცოცხლება იგრძნობა თითქმის ყველა იმ მიმართულებით, რაც ლარის კურსზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა 141%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მცირეა, ტურიზმის სექტორი აშკარად გამოცოცხლდა. ცხადია, ეს ფაქტორი, ლარის კურსის ფორმირებაში მნიშვნელოვანია. ამავე პერიოდში, საგარეო ვაჭრობის მონაცემებიც გაუმჯობესდა, მაგალითად, ექსპორტი 70%-ით გაიზარდა – ჯამში, 378 მილიონ აშშ დოლარზე მეტია. ძალიან მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილები და წინა წელთან შედარებით, ამ მხრივაც სერიოზული გაუმჯობესება გვაქვს – 2021 წლის იანვარ-აპრილში, სულ 693 მილიონი დოლარი ჩაირიცხა, რაც 48%-ით მეტია 2020 წლის მონაცემებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლარის კურსის გამყარება მზარდი ეკონომიკური აქტივობის შედეგია“, – განუცხადა „ვერსიას“ ანდრია გვიდიანმა.

მისივე თქმით, ლარის გამყარებას ხელი შეუწყო მთავრობის გადაწყვეტილებებმაც. ეკონომისტმა რეგულაციებისა და შეზღუდვების შემსუბუქებას, ასევე, ვაქცინაციის პროცესის დაჩქარებას იგულისხმა.

„პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვნად შემსუბუქდა კოვიდ-რეგულაციები. თითქმის ყველა სისტემური შეზღუდვა მოიხსნა და ქვეყანაც პანდემიამდე ცხოვრების წესს ნაბიჯ-ნაბიჯ უბრუნდება. შემსუბუქებულმა შეზღუდვებმა ეკონომიკური აქტივობა გაზარდა, რაც ლარზეც პოზიტიურად აისახა. ამასთან, აუცილებლად ხაზგასასმელია ვაქცინაციის პროცესიც და კარგია, რომ იმუნიზაციის ტემპიც იზრდება. შესაბამისად, სწორედ ეს ქმნის პოზიტიურ მოლოდინებს, როგორც ბიზნესსექტორში, ასევე, საზოგადოებაშიც. თავის მხრივ, პოზიტიური მოლოდინები მაკროეკონომიკურ პარამეტრებსა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებაში აისახება. ამდენად, მსგავსი ტიპის მოლოდინების მართვას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს“, – ამბობს გვიდიანი.

ანდრია გვიდიანმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ ლარის კურსის გამყარებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკაც აისახა, რაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილებაში გამოიხატა.

„ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ლარის კურსზე ეროვნული ბანკის საქმიანობა და მის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა ახდენს. ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ნეგატიურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა ინფლაციის მნიშვნელოვანი რისკები გააჩინა. აქედან გამომდინარე, 28 აპრილის სხდომაზე, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად გაამკაცრა და განაკვეთი 1%-ით ანუ 9.5%-მდე გაზარდა. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ლარის გაცვლით კურსზეც აისახა. შესაბამისად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ლარის გამყარების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაცაა“, – დასძინა ანდრია გვიდიანმა.

თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ექსპერტი, ეკონომისტი ოთარ ანგურიძე ლარის კურსის გამყარებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარამეტრებით ხსნის.

„აპრილში, გზავნილებმა შეადგინა 194 მილიონი აშშ დოლარი, რაც ერთ თვის მონაცემების გათვალისწინებით, რეკორდული მაჩვენებელია. აპრილშივე, ადგილობრივი ექსპორტი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 60.6%-ით გაიზარდა, 277.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 73.3% დაფიქსირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ 50.5%-ით გადააჭარბა 2019 წლის აპრილის მონაცემს.

რეგიონის ტურისტულმა მიმზიდველობამ და ვაქცინაციის პროცესის მართვის სისწრაფემ გამოიწვია ავია-მიმართულებების აღდგენა და ტურისტული ნაკადების ზრდა; მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ყოველთვიურად უმჯობესდება და სავარაუდოდ, აპრილში, ნახტომისებური ზრდა დაფიქსირდება.

ინფორმაცია არ გვაქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, თუმცა სავარაუდოდ, გაზრდილი მაჩვენებლები გვექნება პირველ ოთხ თვეში.

ეკონომიკის გახსნა და ტურისტული სეზონის მოახლოება, სამომავლოდ, კიდევ უფრო აჩენსჩვენს ეკონომიკაში პოზიტიური ტენდენციების საფუძველს“, – აცხადებს ოთარ ანგურიძე.

ქართული ღვინის ექსპორტი, პანდემიის მიუხედავად, გაიზარდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პანდემიის მიუხედავად, ქართული ღვინის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. 2021 წლის ოთხი თვის მონაცემებით, ღვინის ექსპორტი 15%-ით, ექსპორტით მიღებული შემოსავალი კი 7%-ით გაიზარდა. 2021 წლის პირველ კვარტალში, საქართველოდან მსოფლიოს 55 ქვეყანაში 29 მილიონამდე ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 65 მილიონი აშშ დოლარია. იმ პირობებში, როდესაც პანდემიის გამო, მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდა, „ვერსია" დაინტერესდა, რამ განაპირობა ამგვარი სასიამოვნო მოულოდნელობა – არცთუ სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების ფონზე, რამ გამოიწვია ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა?

ქართული ღვინო ისრაელსა და მონღოლეთში წელს პირველად გაიყიდა

ექსპორტის ოფიციალური სტატისტიკა

თავდაპირველად, ქართული ღვინის ექსპორტის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედოთ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოს" ინფორმაციით, ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი – 2% (1 841 192 ბოთლი), ჩინეთი – 19% (1 559 533 ბოთლი), ლიეტუვა – 71% (356 748 ბოთლი), აშშ – 2% (325 468 ბოთლი), ესტონეთი – 3% (228 592 ბოთლი), გერმანია – 1% (229 527 ბოთლი), დიდი ბრიტანეთი – 6% (157 932 ბოთლი).

ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა – 9% (3 342 951 ბოთლი), კანადა – 56% (96 090 ბოთლი), ყაზახეთი – 56% (1 027 114 ბოთლი), ისრაელი – 87% (181 820 ბოთლი), აზერბაიჯანი – 113% (112 025 ბოთლი), მონღოლეთი – 477% (192 480 ბოთლი), ჩეხეთი – 734% (44 556 ბოთლი), თურქეთი – 219% (45 930 ბოთლი), შვედეთი – 35% (31 544 ბოთლი).

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი – 17 197 084 (ზრდა 16%), უკრაინა – 3 342 951 ბოთლი (ზრდა 9%), პოლონეთი – 1 841 192 (ზრდა 2%), ჩინეთი – 1 559 533 ბოთლი (ზრდა 19%) და ყაზახეთი – 1 027 114 (ზრდა 56%).

აღსანიშნავია, რომ გარდა ქართული ღვინისა, 2021 წლის ოთხ თვეში, საქართველოდან ექსპორტირებულია 10.2 მილიონი ბოთლი (0.5 ლ) ბრენდი და 195 000 ბოთლი (0.5 ლ) ჭაჭა. ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავლები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 12%-ით და 19 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო ექსპორტირებული ჭაჭის ღირებულება 500 000 აშშ დოლარია. რაც შეეხება შემოსავლებს, ის ამ პერიოდში, 25%-ით გაიზარდა.

2021 წლის პირველ ოთხ თვეში, სხვადასხვა მოცულობის ქართული ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი 252-მა კომპანიამ განახორციელა. ჯამში, საქართველოდან ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად, ქვეყანამ 106.3 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 15%-ით მეტია.

პანდემიის მიუხედავად, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ბოლო წლების ტენდენციის შესანარჩუნებლად, „ღვინის ეროვნული სააგენტო", ქართული ღვინის ბაზრებზე მარკეტინგულ ღონისძიებებს კვლავაც ახორციელებს. ღონისძიებები, ძირითადად, დისტანციურ ფორმატებში იმართება.

გაინტერესებთ, რამ განაპირობა ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა, თანაც პანდემიის პირობებში? „ვერსიას" ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ესაუბრა:

– ბატონო ლევან, პანდემიამ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა დააზარალა. ამ ფონზე, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდას რით ხსნით?

– დავიწყოთ იმით, რომ შარშან, როდესაც პანდემია დაიწყო, ექსპორტის კლება გვქონდა. „ლოქდაუნი" გაზაფხულზე გამოცხადდა, თუმცა მთელი წელი, ბუნებრივია, პანდემიის პირობებში გვიწევდა მუშაობა. შესაბამისად, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ღვინის ექსპორტის კლება დაფიქსირდა. რასაც ბრძანებთ, რომ ექსპორტი გაიზარდა, ეს 2021 წლის პირველი ოთხი თვის შედეგია, რომელიც 2020 წელთან შედარებით, ნამდვილად მზარდია.

ღვინის ექსპორტის ზრდის მიზეზი, პირველ რიგში, ისაა, რომ დედამიწის მოსახლეობამ, ასე თუ ისე, პანდემიის პირობებში ცხოვრება ისწავლა. გარდა ამისა, არც ისეთი მკაცრი შეზღუდვებია, როგორც, მაგალითად, 2020 წლის გაზაფხულზე იყო. შარშანდელ პერიოდთან შედარებით, როდესაც მარტსა და აპრილში, „ლოქდაუნის" გამო, სრულად გაჩერდა ექსპორტი, წლევანდელი მარტი-აპრილის მონაცემები ბევრად გაუმჯობესებულია. ამ პირობებში ერთადერთ გამოწვევად რჩება ღვინის საშუალო ფასი, რაც პანდემიის პირობებში, საკმაოდ დავარდა. ახლა, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ამ მონაცემებითაც კი, პანდემიის წინა პერიოდის მაჩვენებლებზე ჯერ კიდევ ვერ გავედით.

– ღვინის ექსპორტი ტრადიციულ ბაზრებზე გაიზარდა თუ, პანდემიის მიუხედავად, ახალი ბაზრებიც დაგვემატა?

– ზოგადად, ღვინის ბაზრები და ის ქვეყნები, რომლებიც ტრადიციულად, ყოველდღიურად მოიხმარენ ღვინოს, პრინციპში, შეზღუდულია. ბუნებრივია, ჩნდებიან ახალი ქვეყნებიც, სადაც ნელ-ნელა შედის ღვინის მოხმარების კულტურა. ამის მაგალითად შეიძლება, ჩინეთი დავასახელოთ, რომელიც ამ საუკუნეში შეუერთდა ღვინის მომხმარებელ ქვეყნებს. შესაბამისად, ღვინის ბაზრები, ძირითადად, ისევ ისაა, თუმცა გვაქვს სასიამოვნო სიურპრიზიც – ვგულისხმობ, ისრაელსა და მონღოლეთს, სადაც წელს, საკმაოდ დიდი ოდენობით ქართული ღვინო გავიდა.

– როგორ ემზადებით „რთველი 2021"-ისთვის პანდემიის პირობებში და, საერთოდ, იმ ტენდენციიდან გამომდინარე, რაც პირველ ოთხ თვეში დაფიქსირდა, ვგულისხმობ ექსპორტის ზრდას, რა შედეგებს ელით?

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ პანდემიის პირობებში, ყველაზე რთულია გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება, თუმცა თუ ყველაფერი ასე კარგად განვითარდება, რასაც ვაქცინაციის პროცესიც ხელს უწყობს, გვაქვს მოლოდინი, რომ წელს, საექსპორტო სტატისტიკაში ზრდა გვექნება. ექსპორტზე, ძირითადად, ჩვენი წითელი ღვინოები გადის – წითელი ღვინო მთლიანი ექსპორტის 80% გახლავთ, ამიტომ ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად, გამოწვევად რჩება თეთრი ღვინის ექსპორტი. ჯერჯერობით, არაფერია დაგეგმილი და გადაწყვეტილი, თუმცა ძალიან დიდი სიფრთხილითა და გულისყურით ვეკიდებით ამ ფაქტს.

აქვე, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ წელს, ყურძნის ხარისხსა და შაქრიანობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ამიტომ მაქსიმალურად ვთხოვთ მოსახლეობას, ეს ფაქტორი გაითვალისწინონ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით, ფერმერებთან კომუნიკაცია უკვე თებერვლიდან დავიწყეთ. სოფელ-სოფელ დავდივართ კახეთის რეგიონში, რათა ვაზის გასხვლისა და ფურჩქვნის პერიოდში, მაქსიმალურად გაითვალისწინონ ეს მოთხოვნა.

– ბატონო ლევან, ქართული ღვინის პოპულარიზების მიზნით, „ღვინის ეროვნული სააგენტო" არაერთ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა. ცხადია, პანდემიის პირობებში, ამგვარი აქტივობები შეჩერებულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ვაქცინაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, უახლოეს მომავალში, ხომ არ იგეგმება ამ ტიპის ღონისძიებები?

– ამ ეტაპზე, განსაკუთრებით ვცდილობთ, რომ ონლაინ-პლატფორმები მაქსიმალურად გამოვიყენოთ, ვგულისხმობ დეგუსტაციას, გაცნობა-პრეზენტაციას. ხანდახან, უკვირთ ხოლმე, როდესაც ონლაინ-პლატფორმის ფორმატში, დეგუსტაციას ვახსენებ, მაგრამ წინასწარ ვგზავნით ნიმუშებს და კონკრეტულ, შეთანხმებულ დროს, თანამედროვე პლატფორმების საშუალებით, მათი წარდგენა ხდება. სარეკლამო კამპანიებიც მიმდინარეობს და რამდენიმე ონლაინ-მაღაზიასთანაც გვაქვს მოლაპარაკება პროდუქციის რეალიზაციის მიზნით. მაგალითად, vine.com-ზე უკვე გამოჩნდა ქართული ღვინო.

რაც შეეხება ტრადიციულ გამოფენებს, უკვე გვაქვს პოზიტიური ინფორმაციები. წლის მეორე ნახევარში, რამდენიმე საერთაშორისო გამოფენაა დაგეგმილი, მათ შორის, პარიზის „ვინექსპო", ასევე, შანხაის „პროვაინი". იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდება და უკვე დაგეგმილი, ტრადიციული გამოფენები წარმატებით ჩატარდება. რასაკვირველია, ამ გამოფენებში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას.

სამართალი

№17 26 მაისი 2021 წ

მკვლელობა მატარებელში

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც მცირეწლოვანი ბავშვი მოსაკლავად გაიმეტა

ბათო ჯაფარიძე

ერთი პერიოდი, საქართველოში მატარებლით მგზავრობა თითქოს მოდიდან გადავიდა. იმის მიუხედავად, რომ „ელექტრიჩკები“, პრაქტიკულად, 90-იანებშიც კი არ გაჩერებულან, ხალხი მათ ნაკლებად ენდობოდა. ადრე კი, მატარებელი გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო და მოქალაქეები არა მარტო ქალაქიდან ქალაქში, არამედ, რესპუბლიკიდან რესპუბლიკაშიც კი ამ ტრანსპორტით მგზავრობდნენ. სამი ან ოთხდღიანი მოგზაურობა საინტერესო თავგადასავალსაც გიქადდათ და ზოგადად, მატარებლით მგზავრობა მაშინ ცალკე ფილოსოფია გახლდათ.

ახლა, მატარებლით მგზავრობა, განსაკუთრებით ზაფხულში, ისევ ძალიან პოპულარულია და მხოლოდ ამ ტრანსპორტის უსაფრთხოების გამო კი არა, უფრო იმიტომაც, რომ ვაგონები ბევრად მოწესრიგებული და კომფორტულია. ადრე, მატარებლებში, ათასი წვრილმანის „ლევად“ გამყიდველებს თუ ნახავდით, ახლა ისინიც აღარ არიან, რადგან რეალურად, არც არავის სჭირდება ბანქო – შიშველი ქალების გამოსახულებით, უცხოური ფილტრიანი სიგარეტი, ან გნებავთ, საღეჭი რეზინი...

„1982 წელი იდგა. მატარებელი, რომელიც ბაქოდან დედაქალაქში უნდა შესულიყო, რუსთავს გადიოდა. სწორედ იქ, მტკვრის პირზე თევზაობდა პირი, რომელმაც დაინახა, რომ მატარებლიდან რაღაც დიდი გადმოაგდეს. შორიდან ვერ გაარჩია, რა იყო, იფიქრა, ვინმეს ჩემოდანი ხომ არ გადმოუვარდაო და ადგილამდე მივიდა. ადგილზე კი გარდაცვლილი ქალი დახვდა. მეთევზემ მაშინვე რუსთავის განყოფილებაში დარეკა, იქიდან კი უკვე სამინისტროში დარეკეს. როგორც წესი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მომხდარი მკვლელობები განსაკუთრებულ კონტროლზე იყო, რადგან არსებობდა მითითება – საბჭოთა საზოგადოებრივი ტრანსპორტი მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხოა! ადგილზე გასულებს რაციით გადმოგვცეს – თბილისამდე, იმავე მატარებლიდან კიდევ ერთი მგზავრი გადმოაგდეს, 10 წლის გოგონა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქალისგან განსხვავებით, ბავშვს სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, თუმცა ექიმები გადაჭრით ვერაფერს ამბობდნენ. ქალი გაგუდული იყო, ბავშვს კი თავში მძიმე საგანი ჰქონდა ჩარტყმული. გამოძიებამ მალე დაადგინა, ისინი დედა-შვილი იყვნენ, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში მოდიოდნენ და თან დიდი თანხა მოჰქონდათ. ქალს თბილისში ქმარი ელოდა, რომელსაც ამ თანხით მანქანა უნდა ეყიდა. როგორც გაირკვა, წყვილი სამუშაოდ აზერბაიჯანში იყო მივლინებით, იქ ორი წლის განმავლობაში დარჩნენ, თანხა დააგროვეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს, ავტომობილი ეყიდათ. ქმარი თბილისში წამოვიდა, როცა სასურველ ავტოს მიაგნო, ცოლს შეეხმიანა, მან ფული აიღო და შვილთან ერთად, საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ ადგილამდე ვერ ჩამოაღწია.

„ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რაც გადამოწმების შედეგად გაირკვა – ოჯახის წევრების გარდა, არავინ იცოდა, რისთვის მიდიოდა ქალი და ჰქონდა თუ არა დიდი ოდენობით თანხა. აზერბაიჯანში ოჯახის უახლოესმა მეგობრებმა, საქართველოში ნათესავებმა, დედ-მამიშვილებმაც კი არ იცოდნენ, რომ წყვილს ავტომობილის შეძენა სურდა. ეს ავტომატურად გამორიცხავდა, რომ ქალს ვინმე წინასწარ აჰყოლოდა. ყველაფერი ეს, უფრო სპონტანურად დაგეგმილ მკვლელობას ჰგავდა, მაგრამ როგორ?! ხომ გამორიცხული იყო, რომ ქალს, მატარებელში გაცნობილი პირველივე შემხვედრისთვის გული გადაეშალა და თანხის შესახებ მოეთხრო? ერთადერთი იმედი ბავშვი იყო, რომელიც ექიმებს აზრზე ვერ მოჰყავდათ და რაც ყველაზე ცუდი გახლდათ, დიდ იმედსაც ვერ იძლეოდნენ, თანაც ხომ არსებობს რაღაც ინტუიცია და დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერ ამაში, ქმარი უბრალო იყო და იმის მიუხედავად, რომ რეალურად, ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილად, სწორედ ის უნდა მყოლოდა, ამ ხაზს არც განვიხილავდი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დასასრული მე-10 გვერდზე

„ქურდი არა, კოსმონავტი ვარ!“

ვლადიკავკაზში ყველაზე დიდი ქურდული „სხადნიაკი“ იგეგმება

უკრაინაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ათზე მეტი, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს. უკრაინის ნაციონალური პოლიციის განცხადებით, დაკავებულთა შორისაა „კანონიერი ქურდი“ ლაშა ჯაჭვლიანი, მეტსახელად, „ლაშა სვანი“. მისი აყვანის კადრები სოციალურ ქსელშიც გავრცელდა და კთხვაზე, „ქურდი ხარ?“ ჯაჭვლიანი პასუხობს – „ქურდი არა, კოსმონავტი ვარ!“

ჯაჭვლიანი, სხვებისგან განსხვავებით, სასტუმროს ნომერში, ლოგინში, მძინარე დააკავეს.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, ისინი ნაქირავებ სახლებში აიყვანეს. ამოღებულია დიდი ოდენობით ნაქურდალი ნივთები, მათ შორის, ხმლებისა და ხანჯლების იშვიათი კოლექცია.

სამართალდამცავები ამჟამად მათი მფლობელების დადგენით არიან დაკავებულნი.

ისიც ვთქვათ, რომ უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის პირადი განკარგულებით, უკრაინაში შესვლის უფლება ოფიციალურად აკრძალული აქვს 111 კრიმინალურ ავტორიტეტსა და... 557 „კანონიერ ქურდს“.

პარალელურად, ქურდების ყველაზე დიდ შეკრებას ვლადიკავკაზში ელიან, სადაც ელბრუს გოგიჩაევის პანაშვიდები გაიმართება.

ყველაზე ასაკიანი „კანონიერი ქურდი“, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ძველი ყაიდის ქურდებიდან, ერთ-ერთი უკანასკნელია. როგორც რუსული მედია იუწყება, გოგიჩაევის შემდეგ, ძველი ყაიდის „კანონიერი ქურდების“ თაობას ორი გავლენიანი პირი შემორჩა – სანკტ-პეტერბურგელი ვალენტინ გუდევსკი (მეტსახელად, „დერტონი“) და „მოსკოველი“ დავით ფახურიძე (მეტსახელად, „მინაგო“).

ბათო ჯაფარიძე

მკვლელობა მატარებელში

მე-9 გვერდიდან

ამ დროს ექსპერტიზის დასკვნაც მოვიდა – გარდაცვლილ ქალს ხელში მატერიის ნაგლეჯი უპოვეს, ამ მატერიის პერანგები კი მატარებლის გამცილებლებს ეცვათ. დაკითხეს ყველა, ვინც იმ დროს მატარებელში მუშაობდა, ყველას შეუმოწმეს პირადი ფორმა, მაგრამ არცერთი მათგანი დაზიანებული არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ყველა გამცილებელი, ლამის ბოლომდე გააშიშვლეს კიდეც, თუმცა ნაკაწრი ან სისხლჩაქცევა არცერთს აღენიშნებოდა. ამასობაში, ექიმებმა კიდევ ერთი დასკვნა დადეს – მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში, ბავშვი ასეთ მდგომარეობაში დარჩებოდა, ერთი თვის შემდეგ კი, თუ ცოცხალი იქნებოდა, მის გაღვიძებას შეეცდებოდნენ, ამიტომ გამოძიება მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებული დარჩა.

მომხდარიდან ათი დღის შემდეგ, თბილისში, ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა კაცს თავში მძიმე საგანი ჩაარტყეს, ოქროს ყელსაბამი შეხსნეს და ჯიბეებიც ამოუცარიელეს. ყველაფერი ეს მკვლელობის განყოფილებას არ დაინტერესებდა, რომ არა ერთი ფაქტი – ექსპერტიზის დასკვნით, მამაკაცის თავზე მიყენებული დაზიანება ძალიან ჰგავდა 10 წლის გოგონას თავზე მიყენებულ ჭრილობას. ექიმები თითქმის ასპროცენტიანი სუზუსტით ამბობდნენ, რომ დარტყმა ერთი და იმავე ბლაგვი საგნით განხორციელდა. საბედნიეროდ, ახალგაზრდა კაცი გადარჩა, აზრზეც ორ დღეში მოვიდა და ჩვენებაც მისცა. მისი თქმით, თავს... გამცილებლის ფორმაში ჩაცმული კაცი დაესხა.

„ლიანდაგებზე, მოკლე გზით გადავდიოდი, როცა დავინახე, რომ ჩემსკენ გამცილებლის ფორმაში ჩაცმული მამაკაცი მოდიოდა, რომელსაც ხელში სპეციალური, ზოლიანი ჯოხი ეჭირა – სწორედ ისეთი, როგორიც გამცილებლებს აქვთ, რომლითაც მატარებელს წასვლას ანიშნებენ. მამაკაცმა გვერდით ჩამიარა, მერე თავში ტკივილი ვიგრძენი და გრძნობა დავკარგე. მის გარდა, იქ არავინ იყო და ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედ მან მომაყენა დარტყმა“, – ასეთი ჩვენება მისცა დაზარალებულმა.

სამართალდამცავებმა გადაამოწმეს – მატარებელი, რომლიდანაც დედა-შვილი გადმოაგდეს, თბილისის ვაგზალზე აზერბაიჯანიდან იმ დლითი შევიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავე სწორედ აღნიშნულ მატარებელში უნდა ეძებნათ და რაც მთავარია, უკვე იცოდნენ – ის იყო მამაკაცი და საკმაოდ ძლიერიც. ახლიდან დაიწყო ყველას შემოწმება, ოღონდ ამჯერად არა დაკითხვებით, არამედ, მათი პირადი საქმეების შესწავლით. როგორც მოსალოდნელი იყო, წარსულში რაიმე დანაშაული ერთსაც არ ჰქონდა ჩადენილი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გამცილებლებად არ აიყვანდნენ. დაიწყეს მათი ცხოვრების წესის შესწავლა და აღმოაჩინეს, რომ გამცილებლების უფროსს, პრაქტიკულად, ყველა იმ ქალაქში, სადაც ჩერდებოდნენ, მეგობარი ქალი ჰყავდა და მათ ძვირფასი საჩუქრებით ანებივრებდა. საჩუქრებს შორის, ოქროს ნივთები ჭარბობდა – საყურეები, ბეჭდები... მისი ხელფასი კი ამის მეათედსაც არ ეყოფოდა. სამართალდამცავებმა კარგად იცოდნენ, რომ მატარებლის გამცილებლები „ჩალიჩობდნენ“, ცოტა ფულსაც აკეთებდნენ, მაგრამ იმდენს არა, რამდენიმე საყვარლის შესანახად ჰყოფნოდათ... პირდაპირ მისი დაკავება არ გამოდიოდა, თვალთვალიც რთული იყო, რადგან მატარებელში უცხო თანამშრომელი ეჭვს გამოიწვევდა. გადაწყდა, მისი ოთახი გაეჩხრიკათ და მატარებლიდან მოტყუებით გაიყვანეს, მის ოთახში კი ექსპერტები შევიდნენ.

„სამალავს მალე მივაგენით. იქ, დაახლოებით, 14 ათასი მანეთი, ოქროს ნაკეთობები და რაც მთავარია, ის ნივთები იყო, რომლებიც ახალგაზრდა კაცმა დაკარგა. იქვე ვნახეთ გამცილებლის ჯოხი, ხელში ავიღე და მივხვდი, რით ესხმოდა თავს საკუთარ მსხვერპლს დამნაშავე. ხის ჯოხის ნაცვლად, ხელში მძიმე, რკინის მეტალი შემრჩა, რომელიც შეღებილი იყო. დაკავება უკვე შეიძლებოდა და მკვლელი მარტივად ავიყვანეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მკვლელი მიხვდა, რომ ვეღარ გამოძვრებოდა და დანაშაული აღიარა. მთავარი ის გახლდათ, საიდან გაიგო, რომ ქალს თან დიდი ფული ჰქონდა. სამართალდამცავები მისი „პადელნიკების“ გამოაშკარავებას ცდილობდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. როგორც ჩანს, დამნაშავე მარტო მოქმედებდა.

„ბავშვი დედას ესაუბრებოდა და სიხარულით ეუბნებოდა, ამ ფულს რომ ჩავუტანთ მამიკოს, რამდენ ხანში ვიყიდით მანქანასო?! მივხვდი, თან სოლიდური თანხა ჰქონდათ. არც შევმცდარვარ, 7 ათას მანეთამდე ჰქონდათ. ბავშვის მოკვლა არ მსურდა, მაგრამ დამინახა და იძულებული გავხდი, რკინის ხელჯოხი მისთვისაც დამერტყა. რაც შეეხება მამაკაცს, როცა გავცდი, მაშინ დავინახე, რომ მსხვილი ძეწკვი ეკეთა და დანაშაულიც სპონტანურად ჩავიდინე“, – ეს არის ამონარიდი ჩვენებიდან.

იმის მიუხედავად, რომ რვათვიანი წვალების შემდეგ, ის ბავშვიც გარდაიცვალა, სასამართლოს მკვლელისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა უკვე მისჯილი და... განაჩენს აღარ გადახედეს.

პოლიციამ ქუთაისში „საქართველოს ბანკის“ ფილიალის გაქურდვის ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველოს ქუთაისის განყოფილების ოპერატიული რეაგირების ჯგუფის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქუთაისში ერთი პირი დააკავეს. 1978 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ვ.ხ.-ს ქურდობის მცდელობაში ედება ბრალი.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე განთავსებული, რამდენიმე სწრაფი ჩარიცხვის აპარატი დააზიანა და ამავე ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალის გაქურდვას ცდილობდა, რა დროსაც პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დააკავა.

სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის გზით ჩადენილ ქურდობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სასაზღვრო პოლიციამ უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინიტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „ჭარალის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, განას რესპუბლიკის ერთი და კონგოს რესპუბლიკის ერთი მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავა.

დაკავებულების მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას საქართველოდან, თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კოჯორში პენსიონერები მასობრივად გაქურდეს

ვინ არის ბანდის ხელმძღვანელი – მოწმეთა სკანდალური ჩვენებები

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, დღესაც პრობლემაა, რომ კრიმინალებისგან დაზარალებული ადამიანები სამართალდამცავებთან არ თანამშრომლობენ და ცდილობენ, პრობლემა ან შინაურულად მოაგვარონ, ან კრიმინალური შემთხვევა დამალონ. არადა, ევროპის ქვეყნების რამდენიმე ქალაქში, საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს – რამდენიმე კორპუსზე დიდი ასოებით დააწერეს, რომ იქ მცხოვრები ადამიანები თანამშრომლობენ სამართალდამცავებთან და არაფერს უმალავენ პოლიციელებს. შედეგი საოცარი იყო: კონკრეტულად იმ კორპუსების მიმდებარედ, კრიმინალი არათუ შემცირდა, არამედ, საერთოდ მოისპო.
სხვათა შორის, რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად ხვდებიან მოქალაქეები, რომ კრიმინალის აღსაკვეთად, პოლიციასთან თანამშრომლობა „არ ტეხავს“ ანუ თუ ატყობ, რომ ქუჩაში ვიღაცას კლავენ, ძარცვავენ, ან აყაჩაღებენ, სირცხვილი არ არის, ტელეფონი აიღო და პოლიციაში დარეკო.

„ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ჩაშვება და თანამშრომლობა სხვადასხვა რამეა. როცა დანაშაულს დაინახავ და არაფერს აკეთებ, დანაშაულია, მაგრამ როცა არ დაგინახავს, ეჭვი გაქვს და გინდა, რომ მეზობელს, ნათესავს ან უცნობ-ნაცნობებს ავნო, ეს „ჩაშვებაა“. იმის გამო, რომ მოქალაქეები ადრეც და ახლაც გულგრილები არიან იმ დანაშაულის მიმართ, რომელიც მათ არ ეხება, არაერთი კრიმინალური შემთხვევა გვიან იქნა გამოძიებული და დაუსჯელმა კრიმინალებმა სხვა დანაშაულის ჩადენაც მოახერხეს“, – გვიყვება პრეცედენტულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მაშინ, როცა კოჯორი სოფელი იყო და იქ ცხოვრება პრესტიჟულად არ ითვლებოდა, ზაფხულობით ბავშვები რამდენიმე სანატორიუმს აახმაურებდნენ ხოლმე, ადგილობრივი მოსახლეობა კი არც ამ ოდენობით ცხოვრობდა და არც ასეთი ფეშენებელური ვილები ჰქონდათ. ამის მიუხედავად, კოჯრის მოსახლეობას ფინანსურად არასდროს უჭირდა – დედაქალაქთან სიახლოვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობას აძლევდა და, ესეც არ იყოს, ზაფხულობით ოთახების გაქირავებით, დამატებით შემოსავალსაც იღებდა. სწორედ კოჯორში, ადგილობრივ უბნის რწმუნებულს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ რამდენიმე პენსიონერი დააყაჩაღეს და მართალია, სოლიდური თანხა არ წაურთმევიათ, მაგრამ მინიმუმ, 2-3 ათასი ყველა სახლიდან გაიტანეს. გასაოცარი კი ის გახლდათ, რომ მილიციისთვის არავის მიუმართავს, ფაქტი არ დაუფიქსირებია და შესაბამისად, საქმეც არ აღძრულა. უბნის რწმუნებულმა სათითაოდ დაიარა ყველა პენსიონერი და შემდეგ პატაკი დაწერა:

„ყველა სავარაუდო დაზარალებული აშკარად რაღაცას მალავს. მათ თვალებში დიდი შიში იკითხება და ერთი სახასიათო რამ – აბსოლუტურად ყველას, ყელთან დამწვრობის კვალი აღენიშნება. კითხვაზე, როგორ მიიღეს დამწვრობა, ისინი პასუხობდნენ, რომ შემთხვევით, ასანთის ანთებისას ნაპერწკალი მოხვდათ, თუმცა გამორიცხულია, ასანთისგან ასეთი ხარისხის დამწვრობა მიეღოთ“.

სამართალდამცავებს საქმე ისედაც არ აკლდათ, ამიტომ უბნის რწმუნებულის პატაკს დიდი ყურადღება არ მიაქციეს – არ არის მომჩივანი, არ არსებობს საქმე, თუმცა მომხდარიდან მალევე, მტკვრის სანაპიროზე მამაკაცის გვამი იპოვეს. გარდაცვალების მიზეზი დენის დარტყმა იყო – ასე დაასკვნა ექსპერტმა და იქვე მიუთითა, რომ დენმა გარდაცვლილს ყელის არეში დაარტყა, თან რამდენჯერმე ანუ ექსპერტი ირწმუნებოდა, დენით ეს კაცი აწამეს და შემდეგ მოკლესო. მისი ვინაობაც გაირკვა – რამდენჯერმე ნასამართლევი, ბოლოს კი, გალოთებული პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდა.

ექსპერტიზის დასკვნას უბნის რწმუნებულის პატაკი მიაბეს, საქმე აბურთავეს და საბოლოოდ, განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას მისცეს, რადგან ერთ დანაშაულზე, შესაძლებელი იყო, რამდენიმე სხვა ყოფილიყო მიბმული. ახლა უკვე სამინისტროს გამომძიებლები ავიდნენ კოჯორში და მოხუცები დაკითხეს, გარდაცვლილის სურათებიც უჩვენეს და შეატყვეს, რომ მათ ადრინდელზე მეტად შეეშინდათ.

„ცხადი იყო, ისინი აწამეს, აწამეს დენით და ისე შეაშინეს, რომ ფულისა და სხვა ძვირფასეულობის დაკარგვის მიუხედავად, ხმის ამოღებას არ აპირებდნენ. ახლა რასაც ვიტყვი, შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ საგამოძიებო პროცედურების დროს, მარტივია გაჯიუტებული კაცის დაკითხვა, უფრო რთულია გაჯიუტებული ქალის დაკითხვა, გაჯიუტებული მოხუცისგან რამის გაგება კი თითქმის შეუძლებელია. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, ამიტომ მთელი იმედი აგენტურაზე იყო, რომელსაც შეეძლო, რამე სახის ინფორმაცია მაინც მოეწოდებინა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, მხოლოდ ის გაირკვა, რომ ბოლო დროს, გარდაცვლილი კრიმინალი დიდ თანხას ხარჯავდა, ბინაც იქირავა და კარგადაც იცვამდა. არადა, წესით, ბინის ქირაობის ფული კი არა, საჭმლის ყიდვის პრობლემა უნდა ჰქონოდა. გამოდიოდა, ის მოხუცების ძარცვასთან კავშირში იყო, მაგრამ ვინ და რატომ გაიმეტა, არავინ ამბობდა, თუმცა ერთ-ერთმა აგენტმა სასხვათაშორისოდ თქვა, ამას წინათ, გარდაცვლილთან ერთად ვსვამდი და სიმთვრალეში თქვა, მალე იმდენი ფული მექნება, საკუთარ სახლსა და მანქანას ვიყიდი, ახალ რაღაცას მივაგენით, ცოცხლად რომ გაატყავო, ჩაშვებით არავინ ჩაგიშვებსო. სწორედ ამ აგენტს განსაკუთრებული დაკითხვა მოუწყვეს. გამოძიებას აინტერესებდა, კიდევ ვინ იყო სუფრაზე, ვის შეეძლო გაეგო სიმთვრალეში ნათქვამი და ორი პიროვნება გამოიკვეთა – ერთი რიგითი მუშა, მეორე – წარსულში ნასამართლევი პირი.

აქცენტი, რაღა თქმა უნდა, ნასამართლევზე გაკეთდა და გაირკვა, რომ... ელექტროშემდუღებლად მუშაობდა. მასზე თვალთვალი დაიწყეს და მხოლოდ ის დაადგინეს, რომ ელექტრიკოსის პირობაზე, გადასარევად ცხოვრობდა და არაფერს იკლებდა. ეს უკვე მინიშნება იყო და თვალთვალი გაძლიერდა, თუმცა გარდა იმისა, რომ ფულს ხარჯავდა, არაფერს აფუჭებდა. მისი მარშრუტი მარტივი იყო – დილით სამსახური, საღამოს ერთი-ორი კათხა ლუდი და ხინკალი და ბოლოს, სახლი. უქმეებზე, კორპუსის ეზოში, მეზობლებთან ერთად, „დომინოსა“ და „ნარდის“ თამაში, თუმცა ერთ დღეს, სამსახურის შემდეგ, გამოძიებისთვის უცნობ მამაკაცს შეხვდა. ოპერმუშაკები გაიყვნენ, ერთი უცნობს გაჰყვა, მეორე – კვლავ ელექტრიკოსს.

ელექტრიკოსი შინ წავიდა, უცნობი – ქალაქგარეთ, ვიღაც ქალთან დარჩა. მალევე გაარკვიეს, ის წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი, სისასტიკით ცნობილი და კარგად გამობრძმედილი რეციდივისტი იყო. ქალი, რომელთანაც ცხოვრობდა, ქმარს იყო გაშორებული და პატარა გოგონას ზრდიდა. მის დასაკავებლად სამი ოპერმუშაკი წავიდა.

„დაკავება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ მან იეჭვა თვალთვალის შესახებ და ვიფიქრე, დაგვემალება-მეთქი. სამი ძალიან გამოცდილი ოპერმუშაკი გავუშვი დაკავების ოპერაციაზე, გავაფრთხილე, ყველაფერზეა წამსვლელი-მეთქი და არ დამიჯერეს, ჰარი-ჰარად შევიდნენ. ეჭვმიტანილმა ბებუთი იშიშვლა, წამის მეასედში, სამივე თანამშრომელი იატაკზე ფართხალებდა, ის კი გაიქცა. ეს არა მარტო სპეცოპერაციის ჩაფლავება, არამედ, მილიციის მასხრად აგდება იყო. მასზე ძებნა გამოვაცხადეთ და მთელი აგენტურული ქსელი ჩავრთეთ. ქალი შეშინებული გვეხვეწებოდა, ჩემთანაც დატოვეთ ვინმე, მაგ კაცის მეშინია, მოვა და მე და ჩემს გოგონას დაგვხოცავსო. გაქცეული თავზეხელაღებული კი იყო, მაგრამ არა – იდიოტი და ამიტომ, ქალთან თანამშრომლები არ დაგვიტოვებია. იმავე საღამოს, განყოფილებაში ზარი გაისმა – გაქცეული ისევ საყვარლის კარზე აკაკუნებდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საბედნიეროდ, იმ დროს, ერთ-ერთი ჯგუფი აყვანის ოპერაციიდან ბრუნდებოდა და სწორედ იმ ადგილზე იყო. რაციით მათი მობილიზება მოხერხდა და სახლს ალყა შემოარტყეს. ეჭვმიტანილმა კარგად იცოდა, სამი მილიციელის დაჭრის გამო, გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, ცოცხალს არ დატოვებდნენ, ამიტომ ჩაბარდა.

„ელექტრიკოსის პროფესია ბევრ შემოსავალს არ მაძლევდა, თუმცა ბინებში უპრობლემოდ შევდიოდი, ყველა მიცნობდა და მენდობოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ ამირჩია იმ რეციდივისტმა და გეგმაც მოიფიქრა. დენის კაბელზე გადამყვანს ვუკეთებდი, მომაკვდინებელი არ იყო, მაგრამ ადამიანს სიცოცხლის ხალისს უკარგავდა. მოხუცების შეშინებას მარტივად ახერხებდა, არწმუნებდა, რომ გახმაურების შემთხვევაში, არა მარტო მათ, არამედ, მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც კი დახოცავდა. იმათაც ეშინოდათ და დუმილს ინარჩუნებდნენ, სამალავებს კი ყელთან დენის მავთულის შეხების შემდეგ ამბობდნენ. ის მეორე „პადელნიკი“ გრძელი ენის გამო მოკლა, მანამდე ათქმევინა, კიდევ სად წამოსცდა, რომ ბევრი ფული ჰქონდა. ვიცოდით, გვამს რომ მიაგენით და ამიტომ ცოტა ხანს გავჩერდით, თუმცა ფული შემოგველია. მე არაფერ შუაში ვარ, იმის მეშინოდა და საქმეზე იმიტომ დავყვებოდი“, – ეს არის ამონარიდი ელექტრიკოსის ჩვენებიდან.

მას სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბანდის მეთაურს კი – 15 წლით. მკვლელი დახვრეტას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ მისი მსხვერპლი, მასსავით კრიმინალი იყო.

შსს-მ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 032 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 032 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, 67 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23.00 საათიდან დილის 05.00 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 796 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 169 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას – 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა – ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პოლიციამ მარნეულში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობლად მცხოვრებ ახლობელს – 1998 წელს დაბადებულ რ.გ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ გორში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 – დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ გორში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი – 1958 წელს დაბადებულ ვ.კ., ცივი იარაღის გამოყენებით, ზურგის არეში დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი კლინიკაში მოათავსეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა კახეთის რეგიონში საავტომობილო სიჩქარის კონტროლის 6 სექცია აამოქმედა

შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს საგზაო უსაფრთხოების განმტკიცება. სწორედ ამიტომ, საქართველოს მასშტაბით, ინტენსიურად მიმდინარეობს ვიდეოკამერების მონტაჟი საავტომობილო გზების მონაკვეთებზე.

საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, კახეთის რეგიონში – თელავის, გურჯაანისა და ყვარელის რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო სიჩქარის 6 სექცია ამოქმედდა:

1. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიდან (სოფელი სანავარდო) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

2. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრამდე (სოფელი სანავარდო). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

3. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრამდე (სოფელი ველისციხე). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

4. ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრიდან (სოფელი ველისციხე) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

5. თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 0 კილომეტრიდან – თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 2 კილომეტრამდე. ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ.

6. თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 2 კილომეტრიდან – თელავი-შაქრიანის საავტომობილო გზის 0 კილომეტრამდე. ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ.

სულ, საქართველოს მასშტაბით, სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით უკვე 1269 კმ. სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება.

„ბაზარი“ გაიხსნა, დახლზე მთავარი „პროდუქტი“ კვარაცხელიაა

საფეხბურთო სეზონი, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში დასრულდა და ახლა კლუბების ხელმძღვანელები მომავალი სეზონისთვის გაძლიერებას გეგმავენ. თითქმის ყველა ევროპის ჩემპიონატსა და „კოპა ამერიკას“ ელოდება, რადგან ახალი ვარსკვლავები იქ აუცილებლად გამოჩნდებიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა ბედი უკვე გადაწყვეტილია და ერთ-ერთი ასეთი, ყაზანის „რუბინის“ ქართველი შემტევი, ხვიჩა კვარაცხელიაა. აღარავინ მალავს, რომ ამ ზაფხულს, ხვიჩა გუნდს შეიცვლის და იმასაც არავინ უარყოფს, რომ თუ წელს ვინმე წავა რუსული პრემიერლიგიდან, ყველაზე ძვირი, სწორედ ქართველი ეღირება.

კვარაცხელიას აგენტმა, მამუკა ჯუღელმა უკვე დაადასტურა, რომ რამდენიმე კლუბის წარმომადგენელს შეხვდა და წინასწარი მოლაპარაკებები გამართა. საუბარი ინგლისურ და იტალიურ კლუბებზეა, თუმცა ჟურნალისტები არც გერმანულ ვარიანტს გამორიცხავენ. დასახელდა ფასიც – „რუბინს“, ჩვენებურის სანაცვლოდ, მინიმუმ 25 მილიონი ევროს მიღება სურს, თუმცა კლუბებს შორის კონკურენციის დროს, ფასმა შესაძლოა აიწიოს კიდეც.

„მზად ვარ, როგორც ინგლისური პრემიერლიგის, ისე სერია A-ს საუკეთესო კლუბში წავიდე და ძირითადში ადგილისთვის ვიბრძოლო. მე უმაღლეს დონეზე თამაში შემიძლია“, – განაცხადა კვარაცხელიამ და ახლა უკვე დროის საკითხია, როდის შედგება ტრანსფერი.

„რუბინმა“ კვარაცხელიას შემცვლელი უკვე მოძებნა და როგორც ამბობენ, ქართველის პოზიციაზე შეგულებულ ფეხბურთელს, კლუბი 6 მილიონ ევროდ ყიდულობს.

„ანორთოსისიდან“ წასულ ქეცბაიას გუნდში აბრუნებენ

11-წლიანი პაუზის შემდეგ, კვიპროსულმა „ანორთოსისმა“ მორიგი ტიტული მოიგო. საინტერესოა, რომ ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბი კვლავ თემურ ქეცბაიამ ჩაიბარა, მწვრთნელმა, რომლის სახელთანაც ამ გუნდის ყველაზე დიდი წარმატებები ასოცირდება. ქვეყნის თასის მოგების შემდეგ, ქეცბაიამ განაცხადა, რომ გუნდიდან მიდის და კარიერას სხვაგან გააგრძელებს, თუმცა მის მოსაზრებას „ანორთოსისის“ ხელმძღვანელობა არ დაეთანხმა. მათ სურთ, რომ ქართველმა კვლავ გააგრძელოს მუშაობა და საამისოდ მზად არიან, სერიოზული ფული დახარჯონ.

„ქეცბაია რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას აპირებს და თუ ამ სურვილს აუსრულებენ, მზად არის, გუნდში დარჩეს“, – წერს კვიპროსული მედია.

მათივე თქმით, „ანორთოსისის“ ოთხი ქართველი ლეგიონერიდან ორი, გუნდში აღარ დარჩება – თორნიკე ოქრიაშვილს კონტრაქტი დაუმთავრდა და სხვა ჩემპიონატში სურს ძალების მოსინჯვა, ხოლო გიორგი ქვილითაიას იჯარის ვადა ამოეწურა და ის ბელგიურ „გენტს“ უნდა დაუბრუნდეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი ლორია და მურთაზ დაუშვილი „ანორთოსისში“ თავს „ობლად“ იგრძნობენ. ქეცბაიას დარჩენის შემთხვევაში, გუნდში ვაკო გვილიასა და გურამ კაშიას მიყვანა სურს. ისე, „გენტმა“ ისიც შემოთვალა, თუ „ანორთოსისს“ ქვილითაიას დატოვება სურს, ნახევარ მილიონ ევროდ მივყიდითო.

რა ღირს ქართული ფეხბურთი

რაოდენ უხერხულიც უნდა იყოს, ყველას ყოველთვის ის აინტერესებს, ვინ რამდენ ხელფასს იღებს და ვის რამდენი შემოსავალი აქვს. პარალელურად, სპორტის სამყაროში, სპორტსმენთა ღირებულებაზეც სერიოზული ამბებია ხოლმე ატეხილი და ფასებზე დავა მიმდინარეობს. ფეხბურთელებთან მიმართებაში, გერმანული ვებ-გვერდი – „ტრანსფერმარკეტი“, ერთ-ერთი ყველაზე სანდოა და მოთამაშეთა სავარაუდო ფასსაც იქიდან იგებენ ხოლმე.

„ტრანსფერმარკეტი“ ეროვნული ჩემპიონატების დონეზე დადის და ისეთი ფეხბურთელების სავარაუდო ფასსაც წერს, რომელთა გვარ-სახელი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არც იციან. ჰოდა, საინტერესოა, ამ ვებ-გვერდის აზრით, დაახლოებით, რამდენად „ფასობენ“ ქართველი ფეხბურთელები. ჩვენ საუკეთესო ათეული შევარჩიეთ და აქვე გეტყვით, რომ ფასები სავარაუდოა და ევროებშია მითითებული. მაშ ასე, გთავაზობთ ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელების ათეულს:

1. ხვიჩა კვარაცხელია („რუბინი“, რუსეთი) – 15 000 000;
2. დავით ხოჭოლავა („შახტარი“, უკრაინა) – 3 500 000;
3. გიორგი ჩაკვეტაძე („გენტი“, ბელგია) – 3 200 000;
4. საბა კვერკველია („როტორი“, რუსეთი) – 3 000 000;
5. ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია) – 3 000 000;
6. ჯიმი ტაბიძე („უფა“, რუსეთი) – 2 500 000;
7. ზურიკო დავითაშვილი („როტორი“, რუსეთი) – 2 500 000;
8. ლევან შენგელია („კონიასპორი“, თურქეთი) – 2 000 000;
9. გიორგი ქვილითაია („ანორთოსისი“, კვიპროსი) – 1 800 000;
10. ვაკო ყაზაიშვილი („ულსან ჰიუნდაი“, სამხრეთ კორეა)/ საბა ლობჟანიძე („ანკარაგიუჯუ“, თურქეთი) და ვაკო გვილია („ლეგია“, პოლონეთი) – 1 500 000.

ტოჩინოშინის ზედიზედ მესამე წარუმატებლობა

იაპონიაში, სუმოისტთა შორის, მაისის სუპერტურნირი დასრულდა. სამწუხაროდ, კვლავ წარუმატებლად იასპარეზა ქართველმა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინმა 15 შეხვედრიდან 10 წააგო და 5 მოიგო. საერთო ჯამში, ეს ტოჩისთვის ზედიზედ მესამე უარყოფითი ბალანსია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ივლისში გასამართ ბაშოზე, დღეისთვის მეშვიდე მაეგაშირას რანგში მყოფი ტოჩინოშინი დაქვეითდება და რეიტინგში დაბლა დაიწევს. სამწუხაროდ, არის იმის საშიშროება, რომ თუ მომდევნო ტურნირებზე ჩვენებური საჭირო ოდენობის მოგებებს ვერ დააგროვებს, უმაღლესი დივიზიონდან დაქვეითდეს, რაც ავტომატურად, კარიერის დასრულების ნიშანი იქნება. მოგეხსენებათ, ლევანი ყველა ტურნირს მუხლის ქრონიკული ტრავმისა და ტკივილის ფონზე ატარებს.

„ეს ის ნახატია, რომელსაც ვერასდროს გავყიდი!“



გელა მიქავას „დიალოგი ქვეცნობიერთან“ – 25 წლის მხატვრის პერსონალური გამოფენა „არტ გალერეა ვაკეში“

ნუკი გაგულიძე

გელა მიქავა პროფესიით არქიტექტორია, თუმცა ჯერჯერობით, საზოგადოებამ, როგორც მხატვარი ისე გაიცნო – ამბობს, რომ თვითნასწავლი მხატვარია, საკუთარ თავში ეს ნიჭი სულ რაღაც 5 წლის ასაკში აღმოაჩინა და მას შემდეგ, ნახატებს ქვეცნობიერთან დიალოგით ქმნის. ეს მისთვის უბრალოდ საყვარელი საქმეა და არა პროფესია. თუმცა ხშირად მონაწილეობს გამოფენებში და სულ რამდენიმე დღეში, კიდევ ერთ გამოფენაზეც შეგვეძლება მისი შემოქმედების ხილვა – 4-14 ივნისამდე, „არტ გალერეა ვაკეში“, მისი პერსონალური გამოფენა გაიმართება. გელა ამბობს, რომ მხატვრობა მისთვის საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებაა, წარმატების მიღწევა კი მისთვის ორივე სფეროში, როგორც მხატვრობაში, ისე – არქიტექტურაში, ძალიან მნიშვნელოვანია. მიქავების ოჯახი აფხაზეთიდანაა დევნილი, ამიტომ ომის პერიოდს დიდი ტკივილით იხსენებს.

– ზუგდიდში დავიბადე, 1995 წელს, დევნილთა ოჯახში. ოჩამჩირეში ვცხოვრობდით და ომის გამო მოგვიწია ზუგდიდში გადმოსვლა. ომის პერიოდის გახსენება არ მიყვარს, რადგან ჩემმა ოჯახმა საშინელი დღეები გადაიტანა. ოჯახის წევრების მონაყოლიდან, განსაკუთრებით ერთი ამბავი მზარავს – ოჩამჩირედან ჩემს დედ-მამას და ორი თვის ძმას იმ მანქანით მოუწიათ წამოსვლა, სადაც მიცვალებულები ესვენა...

– გახსოვთ, რა იყო თქვენი პირველი ნახატი ?

– ჩემი პირველი ნახატი, რომლითაც ყურადღება მივიქციე, იყო საქართველოს გერბი, რომელიც 2003 წელს, ასფალტზე ხატვაში გამართული კონკურსისთვის დავხატე. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შერჩეული საქართველოს გერბი, გავიმარჯვე და სწორედ ამ მიზეზით გადაწყდა ჩემი სამხატვრო სკოლაში შეყვანა.

– პირველად ვინ აღმოაჩინა თქვენი ნიჭი?

– ჩემმა დამრიგებელმა აღმოაჩინა და მშობლებს უთხრა, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღებაო. მაშინ პირველ კლასში ვიყავი და შემიყვანეს სამხატვრო სკოლაში, სადაც ხუთი წელი ვსწავლობდი. დასრულების შემდეგ, დიდხანს აღარ მქონია მხატვრობასთან შეხება.

– სავარაუდოდ, პროფესიის არჩევაში, სწორედ მხატვრობის ნიჭმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, არა?

– დიახ, პროფესიით არ ვარ მხატვარი, არქიტექტორი ვარ, მაგრამ ხატვა უფრო ჩემია, ვიდრე არქიტექტურა. ადრე ვგეგმავდი, რა და როგორ უნდა დამეხატა, ფერებს, კომპოზიციებს ვარჩევდი, მაგრამ ახლა აბსოლუტურად სხვანაირად ვქმნი ნახატს – ხატვის დროს, შევწყვიტე ფიქრი, ინსტინქტებით დავიწყე ხატვა და ეს ჩემთვის საკუთარ ქვეცნობიერთან დიალოგია.

– ხანდახან ხელოვანს უჭირს ნახატის გაყიდვა, ამასთან დაკავშირებით, თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ?

– ნახატის გაყიდვა ნამდვილად არ მახარებს, მაგრამ კარგად ვგრძნობ თავს, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩემი შემოქმედება, ჩემი ნაწილი სხვის ოჯახშია. გარკვეულწილად, ეს ჩემთვის ბედნიერებაცაა.

– შეგიქმნიათ ისეთი ნახატი, რომლის გაყიდვაც, უბრალოდ, არ შეგიძლიათ?

– ჩემთვის ასეთი, ჩემი მეუღლის პორტრეტია, კლასიკურ სტილში დახატული. ეს ის ნახატია, რომელსაც ვერასდროს გავყიდი.

– თუ გქონიათ ისეთი მომენტი, როცა თქვენივე ნახატი გაგინადგურებიათ?

– დიახ, ასეთი მომენტი ძალიან ხშირად მქონია, როცა საკუთარი შექმნილში, სხვა რამ დამინახავს.

– გამოფენებში ხშირად მონაწილეობთ?

– ამ ბოლო პერიოდში, უფრო ხშირად ვთანამშრომლობ გალერეებთან, მარტში მქონდა ორი გამოფენა, ახლა კიდევ ივნისში ვგეგმავთ პერსონალურ გამოფენას „არტ გალერეა ვაკეში“.

– საინტერესოა, როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე და თუ არსებობს ადამიანი, ვისი აზრიც თქვენთვის მნიშვნელოვანია?

– იყო პერიოდი, როდესაც ჩემი ნახატი მოეწონებოდათ, შიშის მომენტი მქონდა, ნეტა შემდეგიც მოეწონებათ თუ არა-მეთქი... კრიტიკის მიმართ, ძალიან დადებითად ვარ განწყობილი. არსებობს ჩემთვის ერთი ადამიანი, რომლის დადებითი და უარყოფითი კრიტიკა ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია.

– არსებობს თუ არა ქართველი ხელოვანი, რომლის შემოქმედებისაც განსაკუთრებით კარგად გესმით?

– შემოქმედება, გესმის თუ არ გესმის, ან ხედავ თუ ვერ ხედავ, რაღაც დონეზე, ყველა დასაფასებელია, ცუდი შემოქმედება არ არსებობს, უბრალოდ, ეს უფრო გემოვნებისა და აღქმის ამბავია. მე განსაკუთრებით მომწონს მერაბ აბრამიშვილისა და ირაკლი ფარჯიანის შემოქმედება.

– თუ ყოფილხართ რომელიმე მხატვრის შემოქმედების გავლენის ქვეშ?

– ასეთი გამოთქმაც არსებობს: „ძველი ოსტატები გვკარნახობენ“, სწორედ ამიტომ, ეს ჩვეულებრივად შესაძლებელია. ჩემი საყვარელი მხატვარი, ამ მხრივ, რემბრანდტია, 90%-ით, სწორედ მისი ზეგავლენით ვქმნი ნამუშევრებს, ყველას ჰყავს დასაწყისში ინსპირაციის წყაროდ ვიღაც და შემდეგ საკუთარი მარცვლის გაღვივებას იწყებს.

– რას აპირებთ სამომავლოდ?

– მაგისტრატურის მეორე კურსზე ვარ და მინდა არქიტექტურის მიმართულებით მივაღწიო წარმატებას. მხატვრობით კი მინდა საზოგადოება მიცნობდეს ისეთს, როგორიც ვარ. 4 ივნისს კი გაიხსნება ჩემი პერსონალური გამოფენა – „სამი“, გალერეაში „არტ გალერეა ვაკე“, რომელიც ათ დღეს გასტანს. გამოფენა სამ სერიას აერთიანებს – „სამოსელი პირველი“, „ბანქო“ და „ფესვები“. ესაა სამი სერია თავისი განსხვავებული კონცეფციითა და საერთო ეგზისტენციალური ჭრილით. ყველაფერი, რაც ნამუშევრებშია გადმოცემული, ჩემს მიერ პერსონიფიცირებული განცდების მატერიალიზაციის მცდელობაა.



ელექტროსიგარეტი ფილტვის კიბოს იწვევს?!

ამერიკელმა სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე კვლევები ჩაატარეს, რომლის შედეგადაც დაასკვნეს, რომ ელექტრონულმა სიგარეტმა, შესაძლოა, ფილტვის კიბო გამოიწვიოს. მკვლევარებმა ცხოველები სამ ჯგუფად დაჰყვეს: ერთი ჯგუფი ნიკოტინის ორთქლის ატმოსფეროში იმყოფებოდა, მეორე – უნიკოტინო ელ-სიგარეტების გამონაბოლქვს სუნთქავდა, მესამე ჯგუფი კი – ჩვეულებრივ ჰაერს. ერთწლიანი ტესტირებისას, მღრღნელების 23% ფილტვის კიბოთი დაავადდა. ამავდროულად, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თაგვებზე მიღებული შედეგების პირდაპირ ადამიანებზე გადატანა არ შეიძლება. ამისთვის დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

მორჩენილი პურისგან ლუდს ხარშავენ

ავსტრალიურმა სუპერმარკეტმა Woolworths-მა, კვების ნარჩენების შემცირების პროგრამის ფარგლებში, პურის ნარჩენებისგან ლუდის წარმოება დაიწყო. პურის ბატონები, რომლებიც მაღაზიაში არ გაიყიდება, ამ მსუბუქი, მსხლისა და ანანასის არომატის მქონე ქაფიანი სასმელის – Loafer-ის საფუძველი ხდება. იდეის ავტორები ვარუდობენ, რომ ახალი კამპანიის შედეგად, ყოველდღიურად, დაახლოებით, 350 კილოგრამ პურს ნარჩენებში აღარ გადაყრიან. მთლიან შემოსავალს, რომელიც ახალი ლუდის გაყიდვებიდან მიიღებენ, იმ ავსტრალიელებს მოახმარენ, რომლებსაც საკვებით მომარაგება სჭირდებათ.

კორეელებს ჯინსები და პირსინგი აუკრძალეს

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა თანამოქალაქეებს დახეული და ვიწრო ჯინსების ტარება აუკრძალა. დიქტატორი მიაჩნევს, რომ ამან, შესაძლოა, რეჟიმის დამხობას შეუწყოს ხელი. ქვეყნის ხელმძღვანელს ეშინია და არ სურს, რომ კორეელი ახალგაზრდები „დეკადენტური“, უცხოური გავლენის ქვეშ არ მოექცნენ, ამიტომ აკრძალულ ტანსაცმელს საზოგადოებრივი წყობის საფრთხის ნიშნად თვლის. აკრძალვაში მოჰყვა შეღებილი თმები, პირსინგი და ექსტრავაგანტული, „ანტისოციალისტური“ ვარცხნილობებიც. ჩრდილოეთ კორეელებს დასაშვები ვარცხნილობების მხოლოდ შეზღუდული ჩამონათვალი შესთავაზეს.

განაწყენებულმა ბავშვმა პოლიცია გამოიძახა

ჩინეთის პროვინცია გუიჩჟოუში, 9 წლის სკოლის მოსწავლემ სილამაზის სალონში პოლიცია მას შემდეგ გამოიძახა, რაც ის პარიკმახერმა „დაამახინჯა“. აქაურ სოციალურ ქსელებში პოპულარულია ვიდეო, რომელშიც ბიჭი სარკეში იყურება და ღრიალებს, თან თმაზე ხელს ისვამს. ბავშვის და ამბობს, რომ მისი ძმა გარეგნობას სერიოზულ ყურადღებას აქცევს, ახალმა ვარცხნილობამ კი ის შოკში ჩააგდო. ჩანს, სამართალდამცავებიც ამ მდგომარეობაში მყოფმა გამოიძახა. ადგილობრივ მედიაში არაფერია ცნობილი, რამე მოიმოქმდეს თუ არა პოლიციელებმა, ან დასაჯეს თუ არა ცრუ-გამოძახებისთვის ბავშვის მშობლები. სოციალურ ქსელში მოსწავლეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამხნევებენ. „მან ის გააკეთა, რაზეც ჩვენ, უფროსები მხოლოდ ვოცნებობთ, მაგრამ თავს უფლებას ვერ ვაძლევთ, ეს გავაკეთოთ“, – წერენ კომენტარებში.

ნაყინს რკინის ფანტელით ყიდიან

ამომავალი მზის ქვეყანაში, ცუბამესა და სანძიოში, ტურისტების მოზიდვას უჩვეულო დესერტით ცდილობენ. ეს რეგიონი პანდემიის გამო ძლიერ დაზარალდა, ამიტომ ადგილობრივი აქტივისტები მზად არიან, სხვადასხვა პროექტები აამოქმედონ და მოგზაურები მიიზიდონ. ერთ-ერთმა მათგანმა, ნაყინის სპეციალისტმა, იასუიუკი საკუმამ საფირმო დესერტი შექმნა – ნაყინი განსაკუთრებული არომატითა და რკინის ფანტელით. საქმე ის არის, რომ ეს ქალაქები მეტალურგიული ქარხნებითაა ცნობილი და რაც მთავარია, ტურისტები იქ უფრო ზაფხულობით ჩადიან. ვინც უკვე გასინჯა ახალი ნაყინი, აღნიშნავენ, რომ ის გაცილებით გემრიელია, ვიდრე მოელოდნენ. „მეტალურგიული დესერტი“ 400 იენი (3.7 დოლარი) ღირს.

კობეინის თმა აუქციონზე გაყიდეს



ჯგუფ Nirvana-ს ლიდერის, კურტ კობეინის 6 ღერი თმა ონლაინ-აუქციონზე გაყიდეს. თმა, გამჭვირვალე პაკეტით, კოლექციონერ ნიკოლ დეპოლოსთან ინახებოდა. მას ის 1994 წელს, კობეინის გარდაცვალების შემდეგ გადასცეს. თმას თან ერთვის ფოტოები, რომელზეც მუსიკოსს კულულს მისი მეგობარი და სანდო პირი, ტესა ოსბორნი აჭრის. თმის თავდაპირველი ღირებულება 2.5 ათასი დოლარი იყო, საბოლოოდ კი ის ანონიმმა მყიდველმა 14.1 ათას დოლარად შეიძინა.

თვითიზოლაციის დღეები ხეზე გაატარა

ინდოელ სტუდენტს, შივას კორონავირუსი დაუდასტურდა, რის გამოც მას თვითიზოლაციაში გადასვლა ურჩიეს, მაგრამ ბიჭის საცხოვრებელი პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდა – ოთხსულიანი ოჯახი ერთ ოთახში ცხოვრობს. ამის გამო, შივამ სახლთან ახლოს მდგარ ხეზე მოიწყო საცხოვრებელი, რათა ახლობლები არ დაეინფიცირებინა. ბიჭმა ხეზე 11 დღე გაატარა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ისტორია გახმაურდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სტუდენტი იზოლატორში მოათავსა.

„შავი პანტერა“ დედა გახდა

50 წლის სუპერმოდელმა ნაომი კემპბელმა განაცხადა, რომ დედა გახდა. „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე, მოდელმა გულისამაჩუყებელი ფოტო დადო და დაწერა: „ამ მშვენიერმა, პატარა ბედნიერებამ მე ამირჩია დედად. სიტყვებით ვერ აღვწერ ამ კავშირს, რომელიც მთელი ცხოვრება გაგრძელდება. ამაზე დიდი სიყვარული არ არსებობს“.

მედიის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ „შავმა პანტერამ“ სუროგატი დედის მომსახურებით ისარგებლა, რადგან მის ორსულობაზე არაფერია ცნობილი.

„ტიტანიკის“ ასლი შექმნეს

ჩინელებს, მსოფლიოს სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების ასლების შემდეგ, ახლა ბრიტანული ლაინერის – „ტიტანიკის“ ანალოგიც აქვთ. პროექტის მთავარი სპონსორი ბიზნესმენი სუ შაოცზიუანია, რომელსაც ლეგენდარული საკრუიზო გემის აგების სურვილი 1997 წელს, ფილმ „ტიტანიკის“ ნახვის შემდეგ გაუჩნდა. ლაინერის ასლის შესაქმნელად, ორიგინალთან შედარებით, კონსტრუქტორებს სამ წელზე მეტი დრო დასჭირდათ.

გემი 1 მილიარდ იუანად (153.5 მილიონი დოლარი) შეაფასეს და ის ორიგინალის ზუსტი ასლია. ახალი „ტიტანიკი“ ხმელეთზე, სიჩუანის პროვინციის თემატურ პარკში განთავსდება. მსურველები ხუთვარსკვლავიან ლაინერზე ღამის გატარებას შეძლებენ, რაც 150 დოლარი ეღირება. „ვიმედოვნებ, ეს ლაინერი აქ 100 ან 200 წლის შემდეგაც იდგება“, – აცხადებს პროექტის სპონსორი.

მოწევის გამო თავზე გალია დაიდგა

თურქმა მამაკაცმა, სიგარეტისთვის თავის დანებების უჩვეულო მეთოდი მოიგონა. მან თავზე სპეციალური გალია დაიდგა. 42 წლის იბრაჰიმ იუსელი სტაჟიანი მწეველია – ის 16 წლიდან მოიხმარს თამბაქოს და თანაც, დღეში 2 კოლოფი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მან მოწევას ბევრჯერ დაანება თავი, მავნე ჩვევისგან მაინც ვერ გათავისუფლდა.

ამჯერად, მავნე ჩვევის დასაძლევად, იბრაჰიმმა უცნაური მეთოდი მოიფიქრა, ინსპირაციის წყარო კი ერთ-ერთი წარმატებული სარეკლამო კამპანია გახდა, სადაც უსაფრთხოების მიზნით, მოტოციკლეტის მძღოლები ჩაფხუტს ატარებენ. იბრაჰიმმა თავზე გასაკეთებლად, სწორედ ჩაფხუტის მსგავსი გალია შექმნა, რომელიც სიგარეტის მოწევაში უშლის ხელს. გაამართლებს თუ არა ეს მეთოდი, ალბათ, დრო გვიჩვენებს.

ვაქცინირებულებს ლატარიას მოუწყობენ

აშშ-ში, ოჰაიოს შტატში მცხოვრები ხუთი ზრდასრული ამერიკელი, რომელთაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთი ან ორივე დოზა მიიღეს, თითო მილიონ დოლარს მიიღებენ. ასეთი შესაძლებლობის შესახებ, ცოტა ხნის წინ, შტატის გუბერნატორმა, მაიკ დევაინმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე განაცხადა. მისი თქმით, პირველი გამარჯვებულის ვინაობა უკვე თვის ბოლოს გახდება ცნობილი. ამის შემდეგ, ოთხშაბათობით, ლატარიის საშუალებით, დანარჩენი ოთხი პრიზის მფლობელებსაც გამოავლენენ. გათამაშებას Ohio Lottery ჩაატარებს, მონაწილეთა სიას კი შტატის ამომრჩეველთა რეგისტრაციის საჯარო ბაზიდან აიღებენ. ლატარიის გამარჯვებულებისთვის თანხას ფედერალური ფონდები გამოყოფენ, რომლებიც კორონავირუსთან ბრძოლაში დასახმარებლად შეიქმნა.

პიცას ავტომატი გამოგიცხობთ

სრული პროცესი მხოლოდ სამ წუთს მოიცავს. დაიმკვიდრებს თუ არა სიახლე თავს ქვეყანაში, სადაც პიცა ეროვნული მემკვიდრეობაა, დრო გვიჩვენებს. არადა, ასეთი სტარტაპის გამოჩენა, პანდემიის ლოგიკური პასუხია. ავტომატზე ხომ საკარანტინო შეზღუდვები არ ვრცელდება, მას არც დისტანციის დაცვა სჭირდება, თანაც მუშაობის დრო შეზღუდული არ აქვს. Mr. Go Pizza-ს შემქმნელები პოტენციურ კლიენტებს არწმუნებენ, რომ ავტომატი პიცას ახალ-ახალი პროდუქტებით ამზადებს და მისი მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევიან.

მსურველს მზა და შეფუთული პიცის შეძენა შეუძლია, რომლის ფასიც 4.50-დან 6 ევრომდე მერყეობს. სტარტაპერებმა ავტომატისთვის პიცის ოთხი, ყველაზე პოპულარული სახეობა შეარჩიეს: „მარგარიტა“, „ოთხი ყველი“, „დიავოლო“ და „პანჩეტა“. პიცის მცხობელი და გამყიდველი მანქანა რომის ცენტრში დგას და კონკურენციას უწევს ახლომდებარე პიცერიებს, სადაც იტალიის ამ სიმბოლოს, გამოცდილი „პიცაიოლოები“, შეშის ღუმელში აცხობენ. ვინც უკვე მოასწრო ავტომატის გამომცხვარი პიცის დაგემოვნება, მის მცირე ზომასა და ინგრედიენტების ნაკლებ რაოდენობაზე მიანიშნებენ.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

ავსტრალიელმა და ამერიკელმა სწავლულებმა COVID-19-ის წინააღმდეგ ექსპერიმენტული, პირდაპირი მოქმედების საშუალება შექმნეს. სპეციალისტების თქმით, მათ გამოიყენეს რნმ-ს გენების გათიშვის ტექნოლოგია ვირუსის გენომზე პირდაპირი შეტევისთვის, ასევე, სპეციალურად შემუშავებული ლიპიდური ნანონაწილაკები.

ახალი პრეპარატი მღრღნელებზე გამოსცადეს. შედეგად გაირკვა, წამალი ორგანიზმში 99%-ით ბლოკავს ვირუსის გამრავლებას. ამასთან, განკურნებული ცხოველების ფილტვებში არ აღმოჩნდა არც ერთი ვირუსი. სწავლულების თქმით, ახალი პრეპარატი სამკურნალოდ ყველა ბეტაკორონავირუსისთვის გამოდგება, მათ შორის, ახალი ვარიანტებისთვისაც, რომლებიც, შესაძლოა, მომავალში გაჩნდნენ.

გარეცხვამ მილიონები დააკარგვინა

ეს ამერიკელი ქალბატონი, შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი ყოფილიყო, მაგრამ სარეცხის გარეცხვამ ყველაფერი ჩაშალა. აშშ-ს მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში 26 მილიონი დოლარი მოიგო, თუმცა ბილეთი, რომელიც აღარც კი ახსოვდა, რომ შარვლის ჯიბეში ჰქონდა, მასთან ერთად გარეცხა. მომხდარის შემდეგ, ქალმა ლოს-ანჯელესის გარეუბანში, მაღაზიას მიაკითხა, სადაც ბილეთი შეიძინა. იქ მას სათვალთვალო კამერის ჩანაწერი გადასცეს, მაგრამ სამწუხაროდ, ვიდეო მტკიცებულებად არ გამოდგება. თუკი ბილეთის პატრონი ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ის არის ამ უზარმაზარი პრიზის მფლობელი, ფულს კალიფორნიის შტატის სახელმწიფო სკოლებს გადაურიცხავენ.

საკუთარი დაკრძალვა გაითამაშა

დომინიკის რესპუბლიკაში, ქალაქ სანტიაგოში მცხოვრები მაირა ალონსო ახლობლებს აიძულებდა, ეტირათ, თუმცა ისინი სულ უფრო მეტს იცინოდნენ და თან „გარდაცვლილს“ ფოტოებს უღებდნენ. დაკრძალვის რეპეტიცია რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, მაირა კუბოშიც კი ჩაწვა, ხოლო სამგლოვიარო ცერემონიაზე კატაფალკით მივიდა. ამ ღონისძიებისთვის ქალმა ათას დოლარზე მეტი დახარჯა – თანხის დიდი ნაწილი კუბოს დაქირავებასა და სტუმრების გამასპინძლებაში გადაიხადა.

დაკრძალვის გათამაშების შემდეგ, მაირამ გადაწყვიტა, იმქვეყნად გამგზავრება კარგა ხნით გადაედო, რადგან „კუბოში მეტად მოწყენილი და მარტოსული ვიყავიო“. აღსანიშნავია, რომ ბევრი ინტერნეტ-მოხმარებელი, კორონავირუსის პანდემიისა და უამრავი სიკვდილიანობის ფონზე, ამ ყალბმა დაკრძალვამ აღაშფოთა, რისთვისაც სანტიაგოელი ქალბატონი მკაცრად გააკრიტიკეს.

ᲞᲘᲙᲐᲡᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ



ნიუ-იორკში გამართულ აუქციონზე, რეკორდულად მცირე დროში – 19 წუთში, 103 მილიონად გაიყიდა ესპანელი მხატვრის, პაბლო პიკასოს ნახატი „ფანჯარასთან მჯდარი ქალი“. მყიდველმა ანონიმურობა არჩია. ეს ტილო პიკასომ 1932 წელს შექმნა და ის მხატვრის უკვე მეხუთე ნამუშევარია, რომელიც 100 ათას დოლარზე მეტად გაიყიდა. ბოლოს, „ფანჯარასთან მჯდარი ქალი“ აუქციონზე, რვა წლის წინ გაიყიდა – მაშინ ანონიმმა მყიდველმა ტილოში, თითქმის 49 მილიონი დოლარი გადაიხადა.

აშშ-ის პრეზიდენტმა, ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემიაში, შსს-ს მხარდაჭერით გაგზავნილ ორ კურსდამთავრებულს დიპლომი პირადად გადასცა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემიაში (United States Coast Guard Academy – USCGA) სასწავლებლად მყოფ ნიკოლოზ ტვილდიანსა და სანდრო სტაჟაძეს, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, აკადემიის გამოსაშვებ ღონისძიებაზე, სწავლის წარმატებით დასრულება მიულოცა.

კონექტიკუტის შტატში, ქალაქ ნიუ ლონდონში გამართულ საზეიმო ცერემონიალს ამერიკული მხარის მიწვევით დაესწრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი, რამაზ პაპიძე.

ბაიდენმა, ამერიკული აკადემიის ქართველ კურსდამთავრებულებს, დიპლომები ნიკოლოზ შარაძესა და რამაზ პაპიძესთან ერთად გადასცა.

USCGA-ს კურსდამთავრებულები – ნიკოლოზ ტვილდიანი და სანდრო სტაჟაძე, აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაგზავნილი პირველი კადეტები არიან, რომლებიც საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, სანაპირო დაცვის რიგებში იმსახურებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემია (USCGA) წელს 240-მა კურსანტმა დაასრულა. 7 უცხოელ კურსდამთავრებულს შორის, ორი ქართველი – ნიკოლოზ ტვილდიანი და სანდრო სტაჟაძე არიან. სანაპირო დაცვის აკადემია ამერიკის საუკეთესო სამხედრო აკადემიების ათეულში შედის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო USCGA-ში ჩაბარების მსურველთა შესარჩევ პროცესში, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, 2017 წელს, პირველად ჩაერთო. რთული კონკურსის გავლის შემდეგ, USCGA-ში სწავლის უფლება, ოთხი წლის წინ, მხოლოდ ნიკოლოზ ტვილდიანმა და სანდრო სტაჟაძემ მოიპოვეს.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი, ნიკოლოზ შარაძე აშშ-ის სანაპირო დაცვის უფროსის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის სარდლის მოადგილეს ოპერაციების მიმართულებით, ვიცე-ადმირალ სკოტ ბუშმენს შეხვდა.

შეხვედრას სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი, რამაზ პაპიძე, აშშ-ში საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ზეზვა ლიპარტელიანი, აშშ-ის სანაპირო დაცვის სარდლის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ანნა კასტიგლიონ-კატალდო, აშშ-ის სანაპირო დაცვის სარდლობის საერთაშორისო ურთიერთობების დანაყოფის წარმომადგენელი, შუიტ ჰაბტემაიკლი და საქართველოში აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი კარლ ვიტი დაესწრნენ. ქართულ დელეგაციას ვაშინგტონში, აშშ სანაპირო დაცვის სარდლობაში უმასპინძლეს.

შეხვედრაზე მხარეებმა საზღვაო სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის დანაყოფებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ამერიკული ხომალდების საქართველოს ნავსადგურებში საპორტო ვიზიტებისა და ერთობლივი წვრთნების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ნიკოლოზ შარაძემ ამერიკულ მხარეს წარმატებული თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია ქალაქ ნიუ ლონდონში, აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის (USCG) 2021 კურსის გამოშვების ცერემონიალს დაესწრო. წელს, აშშ სანაპირო დაცვის აკადემიის კურსდამთავრებულებს შორის, ორი ქართველი კადეტი – ნიკოლოზ ტვილდიანი და სანდრო სტაჟაძე არიან. ოთხწლიანი საბაკალავრო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, ისინი საქართველოში დაბრუნდებიან და სანაპირო დაცვის რიგებში იმსახურებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, აშშ-ის საელჩოს გამოძიების ფედერალური ბიუროს ატაშე ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გამოძიების ფედერალური ბიუროს ატაშე, ჰეზერ ბერგი ეწვია. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორი, სერგო ძაგნიძე და აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) დირექტორი, რებეკა ჰანტი დაესწრნენ. მხარეებმა, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით განხორციელებული პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტები განიხილეს. სტუმრები დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ და დაათვალიერეს: ბიოლოგიური ექსპერტიზის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო, ასევე, კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზისა და სხვა ლაბორატორიები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.